

# რატომ არ იცის ამერიკელმა დიპლომატმა ელემენტარული სიმართლე „ცრუსთავი-2“-ის იდეოლოგიური ტერორის შესახებ?

იხ. 2 გვ.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 19 აგვისტო, 2015 წელი.

№155 (7800)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


## ნაციონალი მთავარი ბანკირია, პრობლემებიც თავზესაყრელი!



ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ინტერესებში ლარის კურსის სტაბილურობა არ შედის. პირიქით, მან მოსახლეობას, ფაქტობრივად, მოუწოდა, შემოდგომისთვის ლარი უფრო გაუფასურდება და დოლარი სასწრაფოდ შეიძინეთო, არადა, ელემენტარული ინტერვენციით შეეძლო საზოგადოებაში პანიკა არ გამოეწვია“.

**თამაზ მეჭიაური**

2 ვინ დგას გიორგი ქადაგიძის უკან?

## ლუკ კოფის სიტყვა კარგია, მაგრამ... მაინც საქმეა მთავარი!

3



აშშ-მა საჯაროდ უნდა განაცხადოს, რომ საქართველოს ნატოში შესასვლელად MAP-ი არ სჭირდება!

## ბესიკ ქარცივაძე:



მე ისეთ გზას არ დავადგებ, ხვალ თავიდან დასაგები რომ გახდეს...

4

## ცუდად რად უნდა მტერობა...

რაულ ხაჯიმბა ქართული ნალკოტის გაყიდვას იწყებს!

5

## ვინ ვის მოერევა?

კოქტეილი MADE IN USA



8

# ფერისცვალება

## უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი



19 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო წმინდა ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ფერისცვალებას.

ფერისცვალება იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, ამიტომაც მართლმადიდებელმა ეკლესიამ ერთ-ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულად შერაცხა.

... როდესაც იესო ქრისტეს ჯვარცმის დღე ახლოვდებოდა, იგი უნდა ვნებულიყო ადამიანთა ცოდვებისათვის, მან იცოდა, რომ ბევრი ვერ გაუძლებდა ამას, ბევრი დაჰკარგავდა სასოებას და რწმენას, და იმედს საუკუნო ცხოვრებისას, ამიტომაც გადაწყვიტა ყველაფერი გაეკეთებინა იმისათვის, რომ ისინი რწმენით განემტკიცებინა, გაეძლიერებინა...

თაბორის მთაზე ასაყვანად უფალმა თავის მოწაფეთაგან გამოარჩია პეტრე, იაკობი და იოანე.

კითხვაზე — თუ რატომ წაიყვანა იესო ქრისტემ თაბორზე მხოლოდ სამი მოწაფე?! პასუხი ასეთია — სამი მოწაფის არჩევით უფალს იმის ჩვენება უნდოდა, რომ ფერისცვალება სამების ნებით მოხდა.

ხოლო, რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს, შესანიშნავადაა აღწერილი ფერისცვალების ეპიზოდში (სახარებიდან), ლოცვის დროს. (თაბორზე) მაცხოვრის სახე განათდა, გაბრწყინდა როგორც მზე, ხოლო ტანსაცმელი თეთრი გახდა, როგორც სპეტაკი თოვლი და მას გამოეცხადნენ მოსე და ელია და აუწყეს მისი აღსასრულის შესახებ იერუსალიმში.

მოწაფეები თავიდან რულმა მოიცვა და როდესაც გამოფხიზლდნენ, დაინახეს უფლის დიდება და ზეციდან მოესმათ მამა — ღმერთის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, მაგისი ისმინეთ“.

საგულისხმოა, რომ ფერისცვალების დღესასწაული მთელი 7 დღის განმავლობაში გრძელდება.

**გიული ლიპარტია.**

◎ მოდი და ნუ გაოცდები!

# რატომ არ იცის ამერიკელმა დიპლომატმა ელემენტარული სიმართლე „რუსთავი-2“-ის იდეოლოგიური ტერორის შესახებ?

**„ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიაჩნია, რომ სიტყვისა და პრესის თავისუფლება ჯანსაღი დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედია“, — აღნიშნა ნიკოლას ბერლინერმა, აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა, როცა მას „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება მოუწია...** ამ სიტყვებში ახალი არაფერია, ვინაიდან, ქართულმა საზოგადოებამაც კარგად გაითავისა



მართალი სიტყვის ფასი. მაგრამ არის თუ არა მართალი და ობიექტური „რუსთავი-2“, ეს უკვე სხვა საქმეა. ჩვენმა კოლეგებმა მშვენივრად იციან, რომ საქართველოს ხელისუფლება „რუსთავი-2“-ს არ ებრძვის. მათ შეუძლიათ, „აკეთონ ახალი ამბები“ ისე, როგორც ხელს აძლევს ამ არხის ნაციონალ მმართველებს, მაგრამ სამწუხაროდ, ეს არ იცის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა. წესით, მან მხოლოდ მას შემდეგ უნდა გააკეთოს კომენტარი, როცა ფაქტებს გაეცნობა და გააანალიზებს, თუმცა, ელჩებს სჩვევიათ ხოლმე ასეთი ზედაპირულობა... **„ჩვენ და საერთაშორისო თანამეგობრობა ვაფასებთ საქართველოს ღია მედიაგარემოს, რომელიც რეგიონში სამაგალითოა, — აგრძელებს ელჩი, — ამდენად, წუხილს იწვევს მოვლენების ისეთი განვითარება, რომელიც მედიის თავისუფლებას საფრთხის ქვეშ დაყენების ან მედიაპლურალიზმის დარღვევის შთაბეჭდილებას ტოვებს“.**

თუკი ბიზნესმენი ცდილობს, დაიბრუნოს თავისი კუთვნილი ქონება, ამით „რუსთავი-2“-ის იდეოლოგიას ხელი არ შეშლია. პირიქით, ამ არხმა ხელისუფლების შავი პიარი, ტყუილი და საკუთარი არხის ქება-დიდება გააძლიერა და ამის შემდეგ, იმაზე ლაპარაკი, რომ სიტყვის თავისუფლებას ვინმე უზღუდავს, სასაცილოა!

ამერიკაში ხომ ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს საკუთრების უფლების დაცვა? ამ მიმართულებით რატომ არ არის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის მოსაზრებები უფრო მძაფრი და კრიტიკული?! თუ „წილების ახევა“ და კერძო საკუთრების აშკარა ხელყოფა დემოკრატიულობის უტყუარი ნიშანსვეტია?

**„სასამართლო პროცესს ყურადღებით ვაკვირდებით. მედიასაშუალების მონაწილეობით წარმართული ნებისმიერი სასამართლო პროცესი სამართლებრივი პროცედურების უმაღლესი სტანდარტის შესაბამისად უნდა წარიმართოს“,** — მიუთითებს ელჩი.

ჩვენი მეგობარი ქვეყნის პატივცემულ დიპლომატს ეტყობა, ბიძინა ივანიშვილის კომენტარი არ მოუსმენია. „ქართული ოცნების“ შემოქმედმა და მეცენატმა, მხოლოდ ახლაღა აღიარა, რომ პიარის კუთხით ძალიან შეცდა, როცა საკუთარი ტელეარხები დახურა და ბურთი და მოედანი ტენდენციურ მედიასაშუალებას დაუთმო. **„შეიქმნა უპრეცედენტო სიტუაცია, ხელისუფლებას არა აქვს მისთვის ხელმისაწვდომი ტელევიზია. ამავდროულად, არსებობს, „რუსთავი-2“, რომელიც აგიტაციას უწევს მხოლოდ ოპოზიციას და ამ ფონზე ჭირს საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება“,** — განაცხადა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა...




ელჩის მოვალეობის შემსრულებლის განაცხადებას არცთუ კეთილგანწყობით შეხვდა ქართული საზოგადოება **„გვაკვირდებიან, მაგრამ მერე, საქმე საქმეზე რომ მიდგება, იმათთვის უმაღლესი სტანდარტი და მედიის თავისუფლების უმაღლესი მწვერვალი მიშაა. როცა სააკაშვილი არღვევდა უფლებებს, ეგ არაფერი კაცო, მაინც კარგი ბიჭი ხარო, ეუბნებოდნენ... ხელისუფლებაში ყოფნის ვადების გახანგრძლივებაში ეხმარებოდნენ. თუმცა, რასაც მიშა აკეთებდა, მათ ქვეყანაში არ ითვლებოდა დემოკრატიულად და მისაღებად“,** — აღნიშნავს ჟურნალისტი ელისო ჯანაშია...

ორმაგი სტანდარტების ინსტიტუტის დანერგვაც აშშ-ის მონაგონია... თორემ, „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით ობიექტური პოზიციის გამოხატვა ჩვენს ოკეანისგაღმელ მეგობრებს არ უნდა გასჭირვებოდათ...

**ნია ფიფია**

◎ ვინ დგას გიორგი ქადაგიძის უკან?

# ნაციონალი მთავარი ბანკირია, პრობლემებიც თავზესაყრელი!

**საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის თამაზ მეჭიაურის ვარაუდით, ეროვნული ბანკის მოქმედი პრეზიდენტი ოპოზიციური ნაციონალური მოძრაობის მძევალია და, შესაბამისად, მოქმედებს არა ქვეყნის, არამედ პარტიის ინტერესების შესაბამისად.** დეპუტატის თქმით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე გიორგი ქადაგიძე ლარის კურსის ნებისმიერ ცვლილებაზე რეაგირებდა და ეროვნული ვალუტის სტაბილურობისთვის ყველა საშუალებას იყენებდა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი ლარის კურსის გასამყარებლად, პრაქტიკულად, არაფერი გაუკეთებია. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ თავის დროზე იმპიჩმენტი არ გამოუცხადეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს. საკითხავია, რას ეყრდნობა საქართველოს პარლამენტის წევრის ბრალდებები და არსებობდა თუ არა რეალურად ეროვნული ბანკის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძველი.

თამაზ მეჭიაური ამბობს, რომ ეროვნული ბანკი უმოქმედო იყო მთელი გასული წლის განმავლობაში, როცა ლარი უფასურდებოდა, ბანკის პრეზიდენტმა პირველი ნაბიჯები გადადგა მხოლოდ მაშინ, როცა ვარდნამ 10 %-ს გადააჭარბა:

— ქადაგიძემ არსებული რეზერვი კრიზისის დაწყებიდან მხოლოდ ათი თვის თავზე გამოიყენა, თუმცა ისიც წყალს გაატანა: ოთხ დღეში 80 მილიონი დოლარი გაყიდა, თუმცა მალევე უკან 140 მილიონი ლარი შეაბრუნა. ქადაგიძის გასული კვირის განცხადებების გაანალიზებაც საკმარისია, რომ მივხვდეთ: ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ინტერესებში ლარის კურსის სტაბილურობა არ შედის. პირიქით, მან მოსახლეობას, ფაქტობრივად, მოუწოდა, შემოდგომისთვის ლარი უფრო გაუფასურდება და დოლარი სასწრაფოდ შეიძინეთო, არადა, ელემენტარული ინტერვენციით შეეძლო საზოგადოებაში პანიკა არ გამოეწვია“.

პარლამენტარის ვარაუდით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ადეკვატური მოქმედების შესაძლებლობას ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები არ აძლევენ. შესაბამისად, დეპუტატი ამბობს, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ დაუშვა შეცდომა, როდესაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ დაიწყო, თუმცა, როგორც იურისტი ლევან ალაფიშვილი ამბობს, რთულია როგორც იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება, ასევე დასრულება.



— „კონსტიტუცია განსაზღვრავს ორ საფუძველს, რა შემთხვევაში შეიძლება დაისვას საკითხი იმპიჩმენტის პროცედურისა. ეს გახლავთ სისხლის სამართლის წესით დასჯადი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა და, მეორე, კონსტიტუციის დარღვევა! თუკი ამის საფუძველი არის, მაშინ საპარლამენტო უმრავლესობას შეუძლია დაიწყოს პროცედურა, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ არის დასასრული. ამის შემდეგ მეორე კონსტიტუციური მექანიზმი ერთვება: საკითხი გადადის პარლამენტიდან საკონსტიტუციო სასამართლოში, სადაც საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობს ამ საკითხზე“, — ამბობს ლევან ალაფიშვილი.

შესაბამისად, იმპიჩმენტის პროცესის დასასრულებლად საქართველოს პარლამენტს დასჭირდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა, როგორც ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი რომან გოცირიძე ამბობს, იმპიჩმენტის შემთხვევაშიც კი შეუძლებელი იქნებოდა მმართველი პარტიის პოლიტიკური მიზნების მიღწევა, რადგანაც, მოქმედი კანონმდებლობით, ბანკის პრეზიდენტს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობიდან. ამიტომაც ხელისუფლებამ გადაწყვიტა ბანკის გახლეჩა...

რომან გოცირიძის თქმით, ხელისუფლება ცდილობს ეროვნულ ბანკზე კონტროლის დაწესებისთვის ბრძოლა შენიღბოს ეროვნულ ვალუტაზე ზრუნვით, რაც ფორმალურად წარმოადგენს დავის მიზეზს მმართველ პარტიასა და ეროვნულ ბანკს შორის. გასულ კვირაში ეროვნულმა ბანკმა, ინფლაციის შემცირების მიზნით, რეფინანსირების განაკვეთი გაზარდა 6 პროცენტამდე, მთავრობას კი ურჩია ლარის დევალვაციის შესაჩერებლად გადადგას შემდეგი ნაბიჯები: უზრუნველყოს თანაბარი ხარჯვა, საჯაროდ და ღიად დააფიქსიროს მზაობა იმის შესახებ, რომ თუკი შემოდგომაზე იქნება დამატებითი ზეწოლა ლარის კურსზე გაუფასურების მიმართულებით, იგი მზად არის, კიდევ უფრო შეამციროს ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯი. ასევე უნდა იქნეს წარმოდგენილი კონკრეტული გეგმა, გაწერილი თარიღებით იმ დამატებითი შემოსავლების შესახებ, რომელსაც მთავრობა ელოდება საპრივატიზაციო შემოსავლებისა და ასევე სხვა ინვესტიციებისა თუ შემოდინებების სახით.

**გიორგი ქადაგიძის ამ რჩევების პასუხად, ხელისუფლებასა და საპარლამენტო უმრავლესობაში აცხადებენ, რომ მთავარი პრობლემა თავად გიორგი ქადაგიძეა.**

**ჯიმშერ რეხვიაშვილი,**
**რადიო „თავისუფლება“**

> **ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ინტერესებში ლარის კურსის სტაბილურობა არ შედის. პირიქით, მან მოსახლეობას, ფაქტობრივად, მოუწოდა, შემოდგომისთვის ლარი უფრო გაუფასურდება და დოლარი სასწრაფოდ შეიძინეთო, არადა, ელემენტარული ინტერვენციით შეეძლო საზოგადოებაში პანიკა არ გამოეწვია“.**
>
> **თამაზ მეჭიაური**

◎ ინფორმაცია

## ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და სომხეთის ევრაზიული კავშირის წევრობა ერთმანეთს ხელს არ უშლის

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას განცხადებით, ის ფაქტი, რომ საქართველოს ევროკავშირთან აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, ხოლო სომხეთი ევრაზიული კავშირის წევრია, ერთმანეთს ხელს არ უშლის. ამის შესახებ ოთარ დანელიამ საქართველოში ვიზიტით მყოფ სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრ სერგო კარაპეტიანთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**როგორც ოთარ დანელიამ აღნიშნა, საქართველოსა და სომხეთს შორის განსაკუთრებულად დამთბარი და სიღრმისეული ურთიერთობა არსებობს, რაც ქვეყნების პირველი პირების დამსახურებაა.**

**მინისტრის განცხადებით, ურთიერთანამაშრომლობის კუთხით სერიოზული პოტენციალია ვაჭრობის სფეროში.**

**„მოგეხსენებათ, ორივე ქვეყანაში სოფლის მეურნეობა ძალიან სწრაფი ტემპებით ვითარდება და სერიოზული პროგრესია. შესაბამისად, ეს ჩვენს ურთიერთობებს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. ასევე, ENPARD-ის პროექტი ხორციელდება, როგორც საქართველოში, ასევე სომხეთში და ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს ამ მიმართულებით გავუზიაროთ ის პრაქტიკა და გამოცდილება, რომელიც გვიგროვდება.**



**ჩვენ ევროპასთან ასოციირების ხელშეკრულების ფარგლებში გვაქვს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობის შეთანხმება. ასევე გვაქვს სომხეთთან. სომხეთი გახლავთ ევრაზიული კავშირის წევრი. მინდა გითხრათ, რომ ერთი მეორეს ხელს ნამდვილად არ უშლის. პირიქით, შეიძლება უფრო საინტერესო პერსპექტივები დაისახოს ამ მიმართულებით და განვითარდეს ურთიერთანამაშრომლობა“, —განაცხადა ოთარ დანელიამ.**

**სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა კი აღნიშნა, რომ მის ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდი ყურადღება ეთმობა და ამ კუთხით საქართველოსთან ურთიერთანამშრომლობა მნიშვნელოვანია.**

**სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება სომხეთისთვისაც მნიშვნელოვანია, სომხეთი ევრაზიის კავშირის წევრია, ამ მხრივ ეს საქართველოსთვის იქნება საინტერესო და ეს უნდა გამოიყენონ.**

სტრატეგიულ პარტნიორთან

# თინა ხიდაშელის ამერიკული ვოიაჟი




თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ორი მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა.

თინათინ ხიდაშელმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწესთან ევროპისა და ევრაზიის საკითხებში, ვიქტორია ნულანდთან და სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში პუნიტ ტალვართან ორი ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების კუთხით სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც საქართველოს საიმედო და სტრატეგიული პარტნიორის მხარდაჭერა სულ უფრო მეტ პროგრესს განიცდის. ვიქტორია ნულანდთან და პუნიტ ტალვართან საქართველოს თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების თემატიკის გარდა საუბარი ნატო-საქართველოს „არსებითი პაკეტით“ გათვალისწინებულ პრიორიტეტულ მიმართულებებსა და იმ რეფორმებს შეეხო, რომელიც თავდაცვის სამინისტროში უნდა გაგრძელდეს.

„პროფესიული განათლების სკოლა და ერთობლივი საწვრთნელი ცენტრი, „არსებითი პაკეტის“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებებია, რომლებიც ხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, პირველ რიგში, საქართველოსთვის, მაგრამ ეს პროექტები წარმატების შემთხვევაში რეალურ შესაძლებლობებს აჩენს იმისთვის, რომ საქართველომ რეგიონული მასშტაბის ფუნქცია და მნიშვნელობა შეიძინოს. მაგალითისთვის, ერთობლივი სასწავლო ცენტრი არის პროექტი, რომელიც საქართველოს უსაფრთხოების მიმღები ქვეყნის სტატუსიდან უსაფრთხოების მიმწოდებლის სტატუსზე გადაიყვანს. ჩვენს პარტნიორებს უნდა ჰქონდეთ განცდა და იმედი, რომ საქართველოს სახით არა მარტო მოსახლეობის მხარდაჭერით უზრუნველყოფილი, საიმედო, პოლიტიკური პარტნიორი ქვეყანა უნდა ჰყავდეს, არამედ, საქართველო უნდა გახდეს ქვეყანა, რომელიც ბევრ მიმართულებაზე პასუხისმგებლობას თავადაც აიღებს“, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

* * *



საქართველოს თავდაცვის მინისტრი ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში ყოფილ სახელმწიფო მდივანს მადლენ ოლბრაიტს შეხვდა, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის მრჩეველთა საბჭოს წევრია.

თინათინ ხიდაშელის განცხადებით, მადლენ ოლბრაიტთან შეხვედრა ძალზედ დროული და ღირებული იყო. „უამრავი შეკითხვა დაისვა. შეხვედრა დაგეგმილზე დიდხანს გაგრძელდა. ოლბრაიტისგან მივიღეთ სრული მხარდაჭერა და პირობა, რომ ის ყველა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ფორუმზე, ყველა საერთაშორისო ტრიბუნიდან საქართველოს ადვოკატი იქნება. მსგავსი ადამიანების კეთილგანწყობა ჩვენისთანა ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნია, რადგან ეს ფაქტი საზოგადობრივი აზრის კონსოლიდაციას უწყობს ხელს“, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

ოლბრაიტთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს თავდაცვის მინისტრი აშშ-ის ერთ-ერთი გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციის, სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების პრეზიდენტს ჯონ ჰამრის შეხვდა. თინათინ ხიდაშელის განცხადებით, აღნიშნულმა შეხვედრებმა კიდევ ერთხელ გაამყარა და დაადასტურა იმ პოლიტიკური ხაზის მართებულობა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების, ქვეყნის ნატოში ინტეგრაციისა და რუსეთთან ურთიერთობის გზაზე ატარებს.

* * *

საქართველოს თავდაცვის მინისტრი და გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეს დაჭრილი და დაშავებული სამხედროების რეაბილიტაციის საკითხებში, ჯეიმს როდრიგესსა და ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური შტაბის მთავარ სერჟანტს, ბრაიან ბატალიას შეხვდნენ. შეხვედრაზე თინათინ ხიდაშელმა ყურადღება გაამახვილა დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების მკურნალობა-რეაბილიტაციის საკითხებზე და ამერიკულ მხარეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინიციატივები გააცნო. მათივე ინფორმაციით, ბრაიან ბატალია და ჯეიმს როდრიგესი დაჭრილი ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მკურნალობა-რეაბილიტაციის საკითხით დაინტერესდნენ. ამერიკულმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სამედიცინო პერსონალის გადამზადებაში დაეხმაროს.

შეხვედრაზე მხარეებმა ჯარისკაცების რეაბილიტაციის პროცესში სპორტის მნიშვნელობაზეც ისაუბრეს. განიხილეს სპორტის სხვადასხვა დისციპლინებში შესაბამისი პროფილისა და ცოდნის მქონე ტრენერების საქართველოში მოვლინების საკითხიც.

ინტერპრესი

დღის თემა

# სიტყვა კარგია, მაგრამ... მაინც საქმეა მთავარი!

## აშშ-მა საჯაროდ უნდა განაცხადოს, რომ საქართველოს ნატოში შესასვლელად MAP-ი არ სჭირდება!



**„შესანიშნავი შესაძლებლობა აშშ-საქართველოს შორის თავდაცვის სფეროში კავშირების განვითარებისათვის“, — ამ სათაურით აქვეყნებს ამერიკელი პოლიტოლოგი და სტრატეგიული კვლევითი ცენტრის Heritage Foundation-ის ანალიტიკოსი ლუკ კოფი მიმოხილვას ვებგვერდ Heritage8org-ზე.**

როგორც კოფი სტატიაში აღნიშნავს, 17 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის პენტაგონში პირველი ვიზიტი ქვეყნებს შორის უფრო ღრმა ორმხრივი თანამშრომლობის საფუძველი გახდება. პოლიტოლოგი წერს, რომ საქართველო აშშ-ის ერთ-ერთი საუკეთესო მოკავშირეა ევროპაში.

**„ევროატლანტიკურ რეგიონში მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა გამოხატავს მსგავს ენთუზიაზმს ნატოს მიმართ, როგორც საქართველო — მიუხედავად იმისა, რომ ის ალიანსის წევრი ჯერ არ არის. ნატო-საქართველოს კავშირები ამაზე ახლო არასოდეს ყოფილა. ნატოს ბოლო სამიტის დროს, ალიანსმა მოიწონა „ნატო-საქართველოს პაკეტი“, რომელიც საქართველოს თავდაცვით და ალიანსთან თავსებადობის შესაძლებლობებს გააძლიერებს. ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი წლის ბოლოს ვაზიანის საწვრთნელ ტერიტორიაზე დედაქალაქ თბილისთან ახლოს გაიხსნება. გასულ თვეს, საქართველომ უმასპინძლა ნატოს სამხედრო სწავლება Agile Spirit-ს, რომელშიც ბულგარეთიდან, საქართველოდან, ლატვიიდან, ლიტვიდან და რუმინეთიდან 250-მა სამხედრომ მიიღო მონაწილეობა“,** - წერს ლუკ კოფი.

იგი ასევე აღნიშნავს სხვა წვრთნების შესახებ, რომელშიც საქართველომ მონაწილეობა მიიღო და ასევე ავღანეთის მისიაში ქართველი სამხედროების მონაწილეობას. ამერიკელი ანალიტიკოსი რუსეთის დაუსრულებელ აგრესიაზეც საუბრობს.

**„რუსეთი სამხრეთ კავკასიას მიიჩნევს, როგორც მისი გავლენის ბუნებრივ სფეროს და მზადაა, რეგიონში გავლენისთვის საჭიროების შემთხვევაში ძალა გამოიყენოს. 2008 წლის აგვისტოში, რუსეთი შეიჭრა საქართველოში და თბილისს 15 მილის დაშორებით მიუახლოვდა. შვიდი წლის შემდეგ, რამდენიმე ათასი რუსი სამხედრო განაგრძობს საქართველოს ორი რეგიონის - ე.წ.სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპირებას, რაც საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტს შეადგენს. 2015 წლის 16 ივლისის შემდეგ, მოსკოვის მიერ მხარდაჭერილი უსაფრთხოების ძალები იმ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ღობეს სწევენ, რომელიც რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონ სამხრეთ ოსეთსა და დანარჩენ საქართველოს ჰყოფს - და საქართველოს უფრო მეტ ტერიტორიას აქცევენ რუსეთის კონტროლქვეშ. ბოლო მსგავსი ინციდენტი 10 აგვისტოს მოხდა“,** — წერს ლუკ კოფი.

იგი ასევე ახსენებს რუსეთის მიერ ე.წ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან „ინტეგრაციის ხელშეკრულებების„ გაფორმებას. ამერიკელი პოლიტოლოგი საქართველოს მიერ ნატოსკენ მიმავალ გრძელ გზაზეც წერს: **„2008 წლის ბუქარესტის სამიტზე საქართველოს ნატოს წევრობას დაჰპირდნენ. მას შემდეგ, ალიანსის ყველა წევრს მხარდაჭერა არ გამოუჩენია. ეს განსაკუთრებით სიმართლეს წარმოადგენს ნატოს იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც ახლო კავშირები აქვთ რუსეთთან. ნატოს ზოგიერთი წევრი ქვეყანა შეშფოთებულია, რომ საქართველოს ნატოში შესვლა გამოიწვევს ავტომატურად ომს რუსეთთან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთისთვის“.**

ლუკ კოფის თქმით, ნატოს ბოლო ორი სამიტის დროს, საქართველო იმედოვნებდა, რომ მიიღებდა „გაწევრიანების სამოქმედო გეგმას“ (MAP-ს), მაგრამ ასე არ მოხდა. **„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ალიანსში გაწევრიანებისთვის არ სჭირდება MAP-ი, რუსეთი საქართველოს გამუდმებულ მარცხს — მოიპოვოს MAP-ი ნატოსგან, იყენებს, როგორც პროპაგანდის გამარჯვებად“,** — აღნიშნავს ლუკ კოფი.

ამერიკელი პოლიტოლოგი საქართველოს, ტრანსატლანტიკურ გზაზე აშშ-ის როლზე საუბრობს: „აშშ-მა უნდა გამოიყენოს ხიდაშელის ვიზიტი იმისათვის, რომ აღიაროს საქართველოს მიერ ტრანსატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი.

— აშშ უნდა დაეხმაროს საქართველოს, დაიცვას საკუთარი თავი. თითოეულ ქვეყანას აქვს უფლება დაიცვას საკუთარი თავი. აშშ-მა უნდა მიჰყიდოს თავდაცვითი ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება — როგორიცაა FGM-148 ჟაველინ, და ჰაერსაწინააღმდეგო შეიარაღება საქართველოს. საქართველო რუსეთის მხრიდან აგრესიის მუდმივი საფრთხის ქვეშაა.

— საჯაროდ განაცხადოს, რომ „გაწევრიანების სამოქმედო გეგმა“ (MAP-ი), არ არის აუცილებელი ალიანსში გასაწევრიანებლად. 2016 წლის ივლისში პოლონეთში დაგეგმილ ნატოს მომავალ სამიტამდე, პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ და თავდაცვის მდივანმა ეშტონ კარტერმა საჯაროდ უნდა განაცხადონ, რომ საქართველოს არ სჭირდება MAP-ი ნატოში შესასვლელად.

— აშშ უფრო მკაფიო უნდა იყოს საქართველოს მომავალ გაწევრიანებასთან დაკავშირებით. 2008 წელს ალიანსი საქართველოს დაჰპირდა გაწევრიანებას. ეს ნატოს ყველა სამიტზე დადასტურდა. აშშ-მა უნდა განაცხადოს მკაფიოდ, რომ საქართველოს პოლიტიკური წვლილი ტრანსატლანტიკურ საზოგადოებაში, მის მიერ „წლიური ეროვნული პროგრამების„ წარმატებით შესრულება, და ნატო-საქართველოს კომისია საქართველოს დაეხმარება მიუახლოვდეს გაწევრიანების ეტაპს.

— გაზარდოს მრავალმხრივი და ორმხრივი წვრთნები საქართველოში. რაც უფრო მეტად ფრიალებს აშშ-ის და ნატოს დროშები საქართველოში, მით უფრო მეტად იზრუნებს ქართველი ხალხი ტრანსატლანტიკურ სივრცეში მიმავალი გზა შეინარჩუნოს. სამხედრო წვრთნები ამერიკისა და ნატოს მხარდაჭერის ყველაზე ნათელი ნიშანია.

— რუსეთის სამხედროების ყოფნას უწოდოს ოკუპაცია, აშშ-მა უნდა გააგრძელოს მაღალი დონის განცხადებების გაკეთება და ათასობით რუსი სამხედროს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ყოფნას უწოდოს ოკუპაცია. ამასთან, აშშ-მა უნდა უბიძგოს უფრო მეტ ევროპულ ქვეყანას იგივეს გაკეთებისკენ, ვინაიდან მათი დიდი ნაწილი რეალობას საჯაროდ არ აღიარებს.

— გაზარდოს ეკონომიკური სანქციები, თუ რუსეთის მიერ აფხაზეთის ან ე.წ.სამხრეთ ოსეთის ანექსია მოხდება. აშშ-მა უფრო მკაფიოდ უნდა მიახვედროს რუსეთს, რომ ოკუპირებული რეგიონების ანექსია გამოიწვევს უფრო ძლიერ ეკონომიკურ სანქციებს, რომელიც მიმართული იქნება წამყვანი რუსი მაღალჩინოსნების მიმართ. ამის მოსამზადებლად აშშ-მა უნდა დაიწყოს სტრატეგიის განვითარება ევროპელ პარტნიორებთან ერთად“.

ლუკ კოფი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს შეუძლია სერიოზული თავდაცვითი რეფორმების განხორციელება და უსაფრთხოების ოპერაციებში მონაწილეობა იმაზე მეტად, ვიდრე ნატოს ბევრ წევრს.



# ბესიკ ქარცივაძე: მე ისეთ გზას არ დავაგებ, ხვალ თავიდან დასაგები რომ გახდეს...

**რუკაზე გლდანის რაიონი დინოზავრს ჰგავს (ყოველ შემთხვევაში ასე აღიქვამს მას გლდანის გამგებელი ბესიკ ქარცივაძე). დინოზავრის შესაფერისად, პრობლემებიც თავზესაყრელია, თუმცა, ეს არ უკარგავს განწყობას ბატონ ბესიკს, გამგეობის ფოიეში, მისი ძალისხმევით დადგმულ როიალზე აჟღერებული მელოდიებით დატკბეს. აქვს თუ არა სამღერლად საქმე გლდანელებს და როგორ აღიქვამს მათ პრობლემებს თვითმმართველობა, ამაზე თავად გამგებელი გვესაუბრება:**



**— ბატონო ბესო, პიარის თვალსაზრისით ერთ-ერთი გამორჩეული გამგებელი ბრძანდებით, თუ ერთადერთი არა... ეს თქვენი პიროვნული თვისებაა, თუ ობიექტურობით განპირობებული საქციელი?**

— ჩემი აზრით, შენი შესაძლებლობების წარმოსაჩენად ხალხთან ურთიერთობა დიდი აკადემიაა. წელიწადია, რაც ქალაქის მთავრობის წევრი და გლდანის რაიონის გამგებელი ვარ. ეს იყო ჩვენი გამოცდის, პატივისა და ღირსების წელიწადი და ამ წელიწადმა გვიჩვენა, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაცია აუცილებელია...

გლდანის ტერიტორია 52 000 კვ.მეტრია ოთხი ტერიტორიული ერთეულით: გლდანის კენტი და ლუწი რაიონებით, გლდანის ავჭალის ხევითა და მუხიანი თავისი შემოერთებული ტერიტორიებით. აქ 320 ათასამდე მოსახლეა. უნდა გითხრათ, რომ ძალიან პრობლემური რაიონია, ინფრასტრუქტურის მხრივ რთული მემკვიდრეობა გვერგო... აი, დღესაც კი, 21-ე საუკუნეში არის საკმაოდ მოცულობითი დასახლებები, სადაც ჩემი პირადი მოწადინებით, მაშველთა კორპუსის დახმარებით მოსახლეობისთვის მიგვაქვს წყალი, როგორც ტექნიკური, ისე სასმელი, 120-160 ტონა. აქ არ არის არც საკანალიზაციო ქსელი... ეს განსაკუთრებით ეხება შემოერთებულ ტერიტორიებს, სადაც მიწაზე დამკვიდრება სპონტანურად ხდებოდა, მაგრამ არ იყო ნაფიქრი მის განვითარებაზე.

**— დღეს თუ არის გაკეთებული რაიმე კონკრეტული გეგმა, ამ ტერიტორიების განვითარების სტრატეგია?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ უკვე შემუშავებული გვაქვს ჩვენი ხედვა... იმის მიუხედავად, თუ რა შეცდომა დაუშვა ჩვენმა წინამორბედმა ხელისუფლებამ, ამაზე წუწუნი არ ღირს, პირიქით, განვითარებაზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული. პროექტები მზადების პროცესშია... ამას სჭირდება დრო, გეოდეზიური, გეოლოგიური, სივრცითი დასკვნები. ამის შემდეგ განზოგადდება, რა თანხები იქნება საჭირო.

**— ბუნებრივია, მასშტაბურ პროექტებს გლდანის ბიუჯეტი ვერ მოერევა?**

— რა თქმა უნდა, ჩვენი ბიუჯეტი მილიონ ლარზე მეტია, მაგრამ კერძო და ცენტრალური ბიუჯეტის დახმარება აუცილებლად დაგვჭირდება...

გლდანს დიდი პოტენციალი აქვს. ახლახან დასრულდა მუხიანი-2, ავჭალა-2, გიორგიწმინდის ტერიტორიებზე წყლის პროგრამა. ვფიქრობთ, ბიოსივრცეების გაკეთებას იქ, სადაც საკანალიზაციო სისტემის გაყვანა შეუძლებელია...

**— სამწუხაროდ, ორი დიდი აფეთქება მოხდა გლდანში, გაზის გაჟონვამ ადამიანების სიცოცხლე შეიწირა, დაზიანდა კორპუსები...**

— დიახ. ტრაგედია დატრიალდა, მაგრამ გადარჩენილებისთვის საარსებო პირობების შექმნა აუცილებელია. ჩვენ იმ დღესვე ქირით გავიყვანეთ დაზარალებულები და დღემდე უზრუნველვყოფთ ბინითა და სამჯერადი კვებით. ორივე კორპუსი შევინარჩუნეთ... ძალიან კომპლექსური სამუშაოები ჩავატარეთ, დაზიანებულ ფლიგელს მთლიანი დემონტაჟი გავუკეთეთ და ახლით აღვადგინეთ, ჩავასხით მონოლითი და ახალი, მზიდი კედლები... სავარაუდოდ, აღდგენითი სამუშაოები ახალ წლამდე დასრულდება... ზარალის დაფარვა ქალაქის მერიამ თავის თავზე აიღო და ეტაპობრივად ხდება თანხების გამოყოფა. გვახარებს ის, რომ დაზარალებულები გვემადლიერებიან და სათანადოდ აფასებენ ჩვენს მონდომებას.

**— რაც შეეხება გზების ინფრასტრუქტურულ პროექტებს, როგორც ვიცით, ამ მიმართულებითაც საკმაოდ აქტიურობთ.**

— დიახ. იგება გზები ისეთ ჩიხებშიც კი, სადაც წლებია, ასფალტი არ დაგებულა. მაგრამ მექანიკურად არ ხდება საფარის გადაგება... ურთიერთობა გვაქვს საკომუნიკაციო კომპანიებთან, ვარკვევთ, არის თუ არა მოწესრიგებული წყალგაყვანილობა, კანალიზაცია... ხანდახან ეს მომენტები გვაფერხებს ხოლმე. მაგრამ მოსახლეობა უფრო სწრაფად ითხოვს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

**— ანუ, ფასადურად არაფერს აკეთებთ, არა?**

— დიახ, ეს გამორიცხულია. მე ისეთ გზას არ დავაგებ, რომ ხვალ, როდესაც უფლებამოსილება ამომეწურება, ისევ თავიდან იყოს გასაკეთებელი. ასევე უნდა გითხრათ, რომ უარი ვთქვი რკინის უსახური კონსტრუქციების დადგმაზე. ბავშვთა გასართობ სკვერებში ვაკეთებთ ხის, ეკოლოგიურად სუფთა ატრაქციონებს, საქანელებს... ჩვენ მომავალ თაობას განსაკუთრებული პატივი უნდა ვცეთ.

**— ეს თქვენი სტრატეგიაა, თუ ზოგადად თბილისის ახალი მთავრობისა?**

— ქალაქის მთავრობის ზოგადი მიდგომაა, მაგრამ მე ჩემი ხედვა მაქვს და კორექტივებიც ხშირად შემაქვს. გლდანში ყველგან მოვაწყვეთ ადაპტირებული სივრცეები, რადგან აქ 4 ათასამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ცხოვრობს. მათთვის ხშირად ვაწყობ ღონისძიებებს. ისინი ჩემი მეგობრები არიან, გამგეობის ხშირი სტუმრები. მე ერთადერთი გამგებელი ვარ, რომელსაც როიალი აქვს ფოიეში... მოდიან აქ და მხიარულობენ...

**— როიალი ბიუჯეტის ფულით შეიძინეთ?**

— არა თხოვების ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული. მიყვარს მუსიკა, ესთეტიკა, დიდ პატივს ვცემ კულტურას, ხელოვნებას, სპორტს...

ჟურნალ „დილას“ 150 წლისთავი სწორედ გლდანში აღვნიშნეთ. ერთ-ერთ სკვერსაც „დილა“ ვუწოდეთ. დიდი ღონისძიება მივუძღვენით ჭადრაკს, სახელწოდებით „ეს ჩემი ცხოვრებაა“, რადგან მიმაჩნია, რომ როგორც ჭადრაკში, ამ ცხოვრებაში ყველა ჩვენს პარტიას ვთამაშობთ, მთავარია, მიზანსცენაზე იდგე და კულისებში სუფლიორის როლში არ აღმოჩნდე.

**— „მილიონი ხის“ პროექტი გლდანს თუ შეეხო?**

— გლდანი ერთ-ერთი გამწვანებული უბანია. მას 50-წლიანი ისტორია აქვს. თავის დროზე ჩაფიქრებული იყო, როგორც ვენეცია, მაგრამ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ამის ნება არ დართო თბილისს... „გაზაფხულის ფერები“ — გვქონდა ასეთი ზეიმი. საბავშვო ბაღების აღსაზრდელების მონაწილეობით, ჩაფიქრებული გვაქვს თბილისობის „შემოდგომის ფერების“ აღნიშვნა, აქტიურობენ სკოლები, ვიცი, სად როგორი თვითშემოქმედებაა. უდროოდ გარდაცვლილი პოეტისა და მხატვრის დათო კრაწაშვილის საღამოც ჩავატარეთ...

**— ბატონო ბესო, სოციალურ პრობლემებზე რას იტყვით, მაგალითად, მოვისმინე, რომ გლდანის მაჟორიტარ დეპუტატს სოსო ჯაჭვლიანს პირდაპირ ეთერში არაერთმა მსმენელმა უყურადღებობის გამო უსაყვედურა...**

— ბატონ სოსო ჯაჭვლიანთან და მის ბიუროსთან შესაძლებლობისდაგვარად ვთანამშრომლობთ.

**— ხომ არ კვეთავს თქვენი კომპეტენცია ერთმანეთს?**

— არა, გადაკვეთის წერტილი ნამდვილად არა გვაქვს. სოციალურ ფონს რაც შეეხება, ჩემი აზრით, გადასახედია

ქულები. ჯანდაცვას სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს, მაგრამ თანადაფინანსების კომპონენტში ჩვენც ვეხმარებით. ბიუჯეტით გათვალისწინებულია წამლების დაფინანსება და ამ თხოვნით უამრავი განცხადებაა შემოსული.

მე მაინც მგონია, რომ სახელმწიფო მუდმივი თავშესაფარი ვერ იქნება, ადამიანები უნდა დასაქმო. მაგალითად, გლდანში გვაქვს სოფლის ტიპის დასახლებები, სადაც მოსახლეობა მიწაზე შრომობს. მოჰყავთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები. ახლა ვფიქრობ, რომ შევძილია მათი მოწეული ბოსტნეული, რძის ნაწარმი, ხორცი გლდანის ბაზარში გავასაღოთ. ამ ადამიანებს სჭირდებათ სუბსიდირება, ვაუჩერიზაცია... გადასახადებიდან გათავისუფლება...

**— მაგრამ ეს არ არის თქვენი კომპეტენცია, არა?**

— სამწუხაროდ, არა... ქალაქი ცენტრად გადაიქცა, ხოლო სოფელი იცლება, ვერანდება. ამ ტვირთის ზიდვა მომავალ თაობას მერე ძალიან გაუჭირდება. ამაზე ახლა უნდა ვიფიქროთ, რაღაც გამოსავალი გამოვნახოთ. მე ყველა ჩემს თანამშრომელს, პარტნიორს, ამხანაგობების წარმომადგენლებს ვარწმუნებ იმაში, რომ ჩვენ საქმის გამკეთებელი სახელმწიფო ვართ... და რომ არავითარი „იზმი“ არ არსებობს...

**— გლდანის რუკა დინოზავრს შეადარეთ, საქმეშიც ასე აღიქვამთ?**

— გლდანი ჩემი დინოზავრია, მაგრამ საქმეში, რა თქმა უნდა, არა. იმის მიუხედავად, რომ მთაწმინდაზე დავიბადე და გავიზარდე, წლებია, გლდანში ვცხოვრობ. აქ ყველაფერი ვიცი, ზუსტად სად რა პრობლემაა და რა სჭირდება მათ მოგვარებას.

**— წარმატებას გისურვებთ!!!**

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

**თბილისის სიახლენი**

## ისანი-სამგორის რაიონში ახალი სკოლა შენდება

**მრავალრიცხოვან მეტრომშენის დასახლებაში 103-ე სკოლა შენდება. სკოლის ძველი ავარიული შენობის დემონტაჟი ქალაქის მერიასთან ერთად განხორციელდა და მის ნაცვლად თანამედროვე სტანდარტების 1000 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს. მშენებლობის პროცესს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.**



**103-ე საჯარო სკოლის მშენებლობა ერთ-ერთი მასშტაბური პროექტია, რომლის ანალოგიური პროექტი ათეული წლებია, დედაქალაქში არ განხორციელებულა. სკოლის ახალი შენობა, რომელიც 2016-2017 სასწავლო წლიდან შევა ექსპლუატაციაში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება - გათბობის სისტემით, შიდა სპორტული და სააქტო დარბაზებით, ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო კლას-კაბინეტით, სკოლა იქნება ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, მოეწყობა პანდუსები, ლიფტი როგორც მთავარ ასევე, სპორტული დარბაზის შესასვლელებში.**

**ადაპტირებული იქნება სველი წერტილებიც. სკოლას ექნება ექიმის კაბინეტი, კვების ბლოკი, აღიჭურვება ახალი ინვენტარითა და ტექნიკით. პროექტზე ხუთი მილიონ-ნახევარი ლარი დაიხარჯება.**

**103-ე საჯარო სკოლა ორსექტორიანია-ქართული და სომხური. სკოლის მოსწავლეები დროებით, თბილისის 157-ე საჯარო სკოლაში აგრძელებენ სწავლას. მოსწავლეთა ტრანსპორტირებას სამინისტროს მიერ დანიშნული სასკოლო ავტობუსი ახორციელებს.**



ინტერპრესი

თავს ზემოთ ძალა არ არის...



# რაულ ხაჯიმბა ქართული წალკოტის გაყიდვას იწყებს!

**ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა უძრავი ქონების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიყიდვის პროცესის დაკანონების ინიციატივით გამოდის. ამ დრომდე საქართველოს ხელისუფლებას არ გამოუხატავს საკუთარი პოზიცია ხაჯიმბას ინიციატივასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხზე „ჯი-ეიჩ-ენი" საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს, კონსტიტუციონალისტს ნიკოლოზ ვაშაკიძეს ესაუბრა.**

> **მოსკოვი თავისას გაიტანს, აფხაზეთში უძრავი ქონების უკანონო გასხვისება მასშტაბურად ჩატარდება**

**— რაულ ხაჯიმბას ვერც ერთმა წინამორბედმა ვერ გაბედა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, საუბარია ძირითადად რუსებზე, უძრავი ქონების გაყიდვის პროცესის დაკანონება. რატომ დგამს ამ ნაბიჯს ხაჯიმბა?**

— ის პროცესი, რომელიც თქვენ ახსენეთ, ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ არასწორია დღევანდელი საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა პრობლემის „აფხაზ ძმებთან" დიალოგის გზით გადაჭრის თაობაზე. საქმე რეალუარდ გვაქვს რუსეთის ოკუპაციასთან და მის პოლიტიკასთან. ხაჯიმბამდე ოკუპირებული ტერიტორიის „დირექტორებად" სხვა ადამიანები მუშაობდენ, რომლებიც, ასევე, იყვნენ საქართველოს დაუძინებელი მტრები და რუსეთის ლაქიები, მაგრამ მათ ხაჯიმბასთან შედარებით, მართალია, უტოპიური, მაგრამ მაინც განსხვავებული პოლიტიკა ჰქონდათ. კერძოდ, ისინი ცდილობდენ, რამენაირად შეენარჩუნებინათ ილუზორული დამოუკიდებლობა და ბოლომდე არ დაეთმოთ მოსკოვისთვის პრინციპული პოლიტიკური პოზიციები. ცხადია, აქ ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს უძრავი ქონების გასხვისების საკითხი წარმოადგენდა, რადგან ის მჭიდროდ არის დაკავშირებული აფხაზური ეთნოსის ასიმილაციის საფრთხესთან და ოკუპირებული რეგიონის რუსეთის მიერ შთანთქმასთან. ბუნებრივია, ეს პოლიტიკა უტოპიური იყო და ადრე თუ გვიან მარცხით დამთავრდებოდა, რადგან რა უნდა გააწყონ აფხაზებმა ერთი ერთზე უზარმაზარ მტაცებლურ იმპერიასთან?

**— აფხაზეთის მოსახლეობაში ამ საკითხისადმი მიდგომა არაერთგვაროვანია, შეძლებენ კი ხაჯიმბას ოპონენტები, აიძულოს ის, უკან წაიღოს თავის ინიციატივა?**

— ხაჯიმბა, მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, საკადრო ჩეკისტი და პუტინის პირადი კაცია. პუტინი დიდი ხანია, ასე ვთქვათ, ცდილობდა მისი „დირექტორად დანიშვნას", მაგრამ არ გამოსდიოდა. ხაჯიმბამ სამჯერ მიიღო ე.წ. „აფხაზეთის საპრეზიდენტო" არჩევნებში მონაწილეობა, როგორც პუტინის პირად წარმომადგენელმა და სამივეჯერ დამარცხდა. ბოლოს, პუტინმა ის, პრაქტიკულად, ძალადობრივი გზით მოიყვანა ამ პოზიციაზე. ახლა ეს, აწ უკვე, 100 პროცენტიანი მარიონეტი, შეუდგა იმ დავალების შესრულებას, რისთვისაც მოიყვანეს. რა გამოვა აქედან? რა თქმა უნდა, აფხაზები იხმაურებენ, წინააღმდეგობასაც გაუწევენ, მაგრამ, ძალა აღმართს ხნავს. მოსკოვი გაიტანს თავისას, უძრავი ქონების უკანონო გასხვისება მასშტაბურად ჩატარდება და დაიწყება მეტად არასასიამოვნო დემოგრაფიული ძვრები.

**— ამ დრომდე არ ჩანს ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების პრინციპული პოზიცია. დავიჯეროთ, თუნდაც რეაგირებისთვის, განზადებული ტექსტები არ არსებობს, თუ რას ფიქრობენ ამდენს?**

— საქართველოს ხელისუფლების პასიურობა იმით არის განპირობებული, რომ ე.წ. „ახალი პოლიტიკა" კონფლიქტების საკითხში და რუსეთთან ურთიერთობებში მათ ამის საშუალებას არ აძლევს. დიდი აზრი არა აქვს ხაჯიმბას ლანძღვას, ის მაინც უკანონო ხელისუფლებაა და არანაირი პასუხისმგებლობა არა აქვს საერთაშორისო არენაზე. ძირითადი დარტყმა სწორედ რუსეთზეა მისატანი, რომელიც არის ოფიციალური აგრესორი და ოკუპანტი და ღიად და ოფიციალურად უწევს მფარველობას სეპარატისტულ რეჟიმს, შესაბამისი „ხელშეკრულებებიც" გააფორმა მასთან და მასთან ერთად ჩაატარა ამ ტერიტორიის მასობრივი ეთნიკური წმენდა.

**— რეალურად რა ნაბიჯების გადადგმა შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას. საქართველოს კანონმდებლობა, კრძალავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ უძრავი ქონების შეძენას?**

— საუბარია კონკრეტული ადამიანების ქონებაზე, როლებიც რუსეთმა გამოაძევა საკუთარი სახლებიდან და ახლა მათი საკუთრების მითვისებას იწყებს. როგორც იმ ე.წ. აფხაზეთის „ხელისუფლების" პატრონს, რომელსაც მოსკოვი ღიად და ოფიციალურად უწევს მფარველობას, მის წინააღმდეგ ამ საკუთრების მფლობელი დევნილი მოსახლეობის სახელით საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აიმაღლოს ხმა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში და შეიტანოს სარჩელი შესაბამის საერთაშორისო სასამართლოებში. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლებისთვის ის პროცესი უფრო ღირებულია, რომელსაც ის დიპლომატ აბაშიძის მეშვეობით აწარმოებს კარასინთნ.

**ესაუბრა**
**გეგა სილაგავა**

საგაზრო ეკონომიკის პარადოქსები

# კიდევ ერთი წართმეული ბიზნესის ისტორია

**გასულ წლებში დატრიალებულ მოვლენებს ათეულობით ადამიანის ბიზნესინტერესები შეეწირა. ეს ადამიანები დღემდე ვერ პოულობენ სამართალს და ვერც უკანონოდ წართმეულ ქონებას იბრუნებენ. მათ შორის არიან შპს „ორთაჭალენერჯის" წარმომადგენლებიც. ეს კომპანია 1994 წლიდან, იჯარისა და ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად მართავდა სახელმწიფო ქონებას — ორთაჭალჰესს. „ორთაჭალენერჯის" მფლობელები 2008 წლის ბოლოს, საიჯარო ვადის ამოწურვამდე 11 წლით ადრე გამოაძევეს კუთვნილი ობიექტიდან. ამის შემდეგ ობიექტი დაჩქარებული წესით გამოიტანეს გასაყიდად და ის 25 მილიონ დოლარად შეიძინა კომპანია ენერგო პრო ჯორჯიამ". საქმის მასალებიდან ისიც ირკვევა, რომ კომპანიას ქონების ჩამორთმევამდე 5 მილიონი ლარის ინვესტიცია ჰქონდა განხორციელებული.**

**შპს „ორთაჭალენერჯის" ხელმძღვანელი ნატო ქუთათელაძე გვიყვება:**

— ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა ბიზნესი უკანონო გზებით წაგვართვეს და უსახსროდ დაგვტოვეს. „ორთაჭალენერჯი" ჩვენს მფლობელობაში მხოლოდ 2009 წლის იანვრამდე იყო. თამამად ვიტყოდი, რომ ეს აწყობილი ბიზნესი იყო: ჩვენი ჰესის შემოსავალი თვეში მილიონ ლარს აღემატებოდა, ტარიფი კი, ძალიან დაბალი გვქონდა - 2,5 თეთრი დღგ-ის გარეშე. თანამშრომლებიც კმაყოფილი გვყავდა, ჰესის კეთილმოწყობაზეც ვზრუნავდით და რაც მთავარია, მთელი მოგება ჩვენს ჯიბეში არ მიგვქონდა. ძალიან ბევრი სამუშაო ჩავატარეთ: 40 ათასი ლარი მარტო ჰესის გამაგრებასა და სარეაბილიტაციო სამუშაოებში დავხარჯეთ. 18-მეგავატიანი ჰესი პრაქტიკულად დანგრეული ჩავიბარეთ და ჩვენი სახსრებით ავაშენეთ. სოლიდური თანხა დავხარჯეთ, რომ ყველაფერი მოგვეწყო და ახალი დანადგარები შემოგვეტანა. თანაც, სად ის ტარიფი, რომლითაც ჩვენ ვმუშაობდით და სად - ახლანდელი? 1 კილოვატ ენერგიას 2,5 თეთრად ვყიდდით, მაგრამ მაინც დავმარცხდით. სააკაშვილის დროს როგორ ექცეოდნენ ბიზნესს, ეს ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ და ჩვენც იმ მახინჯი პოლიტიკის მსხვერპლად ვიქეცით.

**— ვინ იყო ჩარეული ამ პროცესში?**

— ჯერ ნიკა გილაური, მერე — ალექსანდრე ხეთაგური. მაშინდელი ეკონომიკის მინისტრი, ქონების მართვის სააგენტო — ძალიან ბევრი ადამიანი მონაწილეობდა ამ უსამართლობაში, რომელიც ზურაბ ნოღაიდელის მიერ დაარსებული კომპანიის"ენერგო პრო ჯორჯიას" ხელშესაწყობად მოხდა. ქაღალდზე გაფორმდა, რომ „ენერგო პრომ" ჰესში 25 მილიონი ლარი გადაიხადა, მაგრამ ჩემი ვარაუდით, ორთაჭალჰესი ასე ძვირი არ ღირდა. 25 მილიონად ახალი ჰესის აშენებაც კი შეიძლებოდა. ყველაფერი ისე გააფორმეს, რომ ვითომ თანხა სახელმწიფოს გადაუხადეს, სახელმწიფომ კი, წილი გაყიდა. სინამდვილეში გაყიდეს ჰესი, მაგრამ დაარქვეს წილი. ეს ყველაფერი საკმაოდ მოხერხებულად მოაწყვეს: აუქციონი წინასწარ ჩატარდა და „ორთაჭალენერჯი" „ენერგო პრო ჯორჯიამ" შეისყიდა. ისეთი გზა მოძებნეს, რომ საწინააღმდეგო ვერაფერი მოგვეხერხებინა. სინამდვილეში კი, ძალადობრივი გზით მიითვისეს ყველაფერი, რაც გვებადა. ყველა წესი და კანონი დაარღვიეს, ამიტომ, ეს პრაქტიკულად მიტაცება იყო. ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი და გამიზნული.

**— ფულადი კომპენსაცია თუ გადაგიხადეს?**

— არანაირი კომპენსაცია არ მიგვილია და ვერც ვერაფერი დავიბრუნეთ, ერთი ლურსმანიც კი. საქმე სასამართლოში შევიტანეთ, ახლაც აქ მიდევს ამ საქმის მასალები, ლამის ტომებია დაგროვილი, მაგრამ ვერაფერს მივაღწიეთ. ბოლო სასამართლო ამ რამდენიმე თვის წინათ გაიმართა, მაგრამ ამაოდ. „ენერგო პროს" ვერ ვუჩივით იმიტომ, რომ მან ჰესი სახელმწიფოსაგან იყიდა. სასამართლოც ვერაფრით დაგვეხმარა იმიტომ, რომ ეკონომიკის სამინისტრომ ეს გააფორმა როგორც წილის გაყიდვა და არა, როგორც ჰესის გაყიდვა. არადა, წილი უდრიდა ჰესს, მეტი ქონება ჩვენ არ გვქონდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ძალიან დიდი უსამართლობა დატრიალდა და თანაც, ყველაფერი ისე გაკეთდა, რომ სიმართლის დამტკიცებაც ვერ შევძელით. ეს ჰესი ჩვენს მფლობელობაში 2019 წლამდე უნდა ყოფილიყო. იჯარის ქირასაც ვიხდიდით და ჩვენს ბიზნესს მშვენივრად ვუძღვებოდით, მაგრამ ჩვენი საქმიანობა ძალიან ცუდად დამთავრდა.

**— ვერც ახალი მთავრობის დროს მიაღწიეთ სამართალს?**

— „ორთაჭალენერჯიმ" ახალი მთავრობის პირობებშიც ვერ დაამტკიცა თავისი სიმართლე, არც კომპენსაცია მოგვცეს და არც ზარალი აგვინაზღაურეს. 1 ლარიც კი არ მიგვილია კომპენსაციის სახით და ეს მაშინ, როცა ყველაფერი მიითვისეს, მთელი ჩვენი ქონება — კონდიციონერებით და კომპიუტერებით დაწყებული, მობილური ტელეფონებითა და სკამებით დამთავრებული. თუმცა, ჩვენი გუნდი მაინც არსებობს, კომპანია ქონების გადასახადს დღემდე იხდის. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი უსიამოვნება დაგვატყდა თავს, მაინც ვცდილობთ, არ გავქრეთ და სიმართლის დასამტკიცებლად ვიბრძოლოთ. ვწუხვარ, რომ ჯერჯერობით ამას ვერ ვახერხებთ!

**P. S. bpn.ge „ენერგო პრო ჯორჯიას" პოზიციითაც დაინტერესდა. როგორც ამ კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ავთო დვალიშვილმა გვითხრა, „ორთაჭალჰესი" თავის დროზე სახელმწიფომ გამოიტანა გასაყიდად: „ჩვენ მივიღეთ აუქციონში მონაწილეობა და ის შევიძინეთ. ყველა პროცედურა კანონის სრული დაცვით გავიარეთ, ყველაფერი ოფიციალურად, კანონის ფარგლებში მოხდა, თანხაც გადახდილი გვაქვს და კონკურსშიც მონაწილეობა მივიღეთ, სხვას ვერაფერს გეტყვით"...**

**ხათუნა ჩიგოგიძე**



№155. ოთხშაბათი, 19 აგვისტო, 2015 წელი.

**ამრიგად, სრულიად ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა, რომ აჯანყების წარმატების სამი აუცილებელი წინაპირობიდან (მეზობლების შეთანხმებული შეიარაღებული მონაწილეობა საერთო ბრძოლაში; ოსმალეთის ნეიტრალიტეტი და მისი ჩაურევლობა კავკასიურ პოლიტიკაში; ფინანსური და დიპლომატიური დახმარება ევროპიდან) არცერთი წინაპირობა არ არსებობდა.**

და მაინც, დამკომის მიერ პარიზში საერთაშორისო ვითარების დასაზვერად სპეციალურად მივლინებულმა ვასო ნოდიამ 1924 წლის მაისში დამაიმედებელი ინფორმაცია ჩამოიტანა: **„საერთაშორისო მდგომარეობა ხელს უწყობს აჯანყების დაწყებას, და თუ ვინიცობაა, აჯანყება დამარცხდეს, მაშინ მოძრაობა პროვინციებში უნდა გაგრძელდეს, რომ ამით პარიზში მყოფმა გაერთიანებულმა ცენტრმა შეძლოს ზოგიერთ მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოსთან დიპლომატიური წესით მოაგვაროს საქართველოს საკითხი რუსებთან“...**

ევროპიდან ასეთი დამაიმედებელი ცნობის მიღებამ დამკომს და სამხედრო კომისიას ფრთები შეასხა. აჯანყებისთვის მზადებას ახალი ენერგია შემატეს პარიზიდან ჩამოსულმა ვალიკო ჯუღელმა, ბენია ჩხიკვიშვილმა, ვლასა მგელაძემ. მუშაობა მთელი ძალით გაიშალა.

რას ეფუძნებოდა პარიზში გადახვეწილი ქართველი პოლიტიკოსების ასეთი ოპტიმიზმი?

თუ გულახდილად ვიტყვით — არც არაფერს რეალურს. აჯანყების დამარცხების შემდეგ იასონ ჯავახიშვილი იხსენებდა: **„იმედს ვამყარებდით ორ მომენტზე — გვეგონა ხალხის მთელი მასა აჯანყდებოდა. და, მეორე მხრივ, ვფიქრობდით, რომ უცხო სახელმწიფოები, სადაც, ჩვენი ცნობით, საზოგადოებრივი აზრი ჩვენს მხარეზე იყო, დაინახავდნენ ხალხის თავგანწირულ ბრძოლას თავისი უფლებებისთვის და ამა თუ იმ ფორმით დაგვეხმარებოდნენ.“**

არც ერთი ეს მოსაზრება რეალურ გათვლებს არ ეფუძნებოდა. ქართველი პოლიტიკოსების ოპტიმიზმი სასურველის სინამდვილედ წარმოდგენის ძირძველი, ტრადიციული ქართული ხასიათის ნაყოფი იყო. **„მაშინ, როცა ქართველს ყველა საფუძველი აქვს, იყოს უბედური, ის ბედს არ ეპუება და ბედნიერებასთან ჭიდილში იგი მხიარულია.“** (მ. მამარდაშვილი, 1992, 16); **„ტრაგედიას ქართული სული არ იცნობს: რაც უნდა გაჭირვება იყოს, რაც უნდა ცუდად მიმდინარეობდეს ცხოვრება ჩვენს გარშემო, ჩვენ მაინც ოცნებებსა და იმედებში ვართ...“** ასეთი იყო ქართველი უხსოვარი დროიდან. ქართული ხასიათის ეს თვისება ჩვენში პირველყოფილი სიწმინდით დღემდე არის შემონახული. ასეთები იყვნენ მე-20 საუკუნის ქართველი პოლიტიკოსებიც - რეალობას მოწყვეტილნი, მეოცნებენი, არაპრაგმატულნი ...

**...მაშინ, როცა ქართველს ყველა საფუძველი აქვს, იყოს უბედური, ის ბედს არ ეპუება და ბედნიერებასთან ჭიდილში იგი მხიარულია.**

**მერაბ მამარდაშვილი**



ჩეკა კვალში მიყვებოდა შეთქმულებს და ლამის ყოველდღიურად აცლიდა მათ საუკეთესო წევრებს. 1923 წლის თებერვალში დააპატიმრეს და 19 მაისს დახვრიტეს გენერლები: კოტე აფხაზი, ა. ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, პოლკოვნიკები: გ. ხიმშიაშვილი, ელ. გულისაშვილი, ალ. მაჭავარიანი, დიმიტრი ჩრდილელი, სულ 15 კაცი. ისინი საქართველოს ჰიმნით შეეგებნენ სიკვდილს. გენერალ კოტე აფხაზის უკანასკნელი სიტყვები იყო: **„მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი საქართველოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!“**

**მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი საქართველოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!**

**კოტე აფხაზი**



1924 წლის იანვრის პირველ დღეებში დაიჭირეს ნოე ხომერიკი, 24 იანვარს - გოგიტა ფაღავა, 28 იანვარს - გიორგი წინამძღვრიშვილი... აჯანყების ხელმძღვანელი ბირთვის წამყვანი წევრების დაპატიმრებამ ბევრს შეურყია გამარჯვების რწმენა. აჯანყების დაწყების თარიღის რამდენჯერმე გადადებაც მძიმედ აისახა საერთო განწყობაზე. 1924 წლის 6 აგვისტოს ვალიკო ჯუღელის ჩავარდნამ კი შეთქმულთა რიგებში არევდარევა გამოიწვია.

დასასრული. დასაწყისი იხ. № 154



ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი შტაბი თურქეთში გადასვლისას, 1924 წლის სექტემბერი. მარცხნიდან მარჯვნივ: სხედან ქაქუცა ჩოლოყაშვილი და გენერალი სპირიდონ მიხეილის ძე ჭავჭავაძე. დგანან: ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე სულხანიშვილი.

# უგუნური ნაბიჯი, ავანტიურა თუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის კულმინაცია?

## სიმართლე 1924 წლის აჯანყების შესახებ

ასეთ პირობებში აჯანყების წარმატებით განვითარების შანსი, პრაქტიკულად, ნულს გაუტოლდა. ამის მიუხედავად, ქართველი პატრიოტები მაინც აჯანყდნენ. ძალზე ძლიერი იყო მათში სამშობლოს თავისუფლების წყურვილი...

ჭიათურაში აჯანყების დათქმულზე ერთი დღით ადრე დაწყებამ კიდევ უფრო არია დავთარი. აჯანყების თარიღის რამდენჯერმე გადადების გამო ქაქუცა ჩოლოყაშვილს ნავარაუდევი 600 კაცის ნაცვლად, მხოლოდ 60 მიუვიდა. ( ზალდასტანაშვილის ცნობით - 140 კაცი, მაგრამ ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა - თბილისზე იერიშისთვის როგორც ერთი, ისე მეორე რაოდენობა საკმარისი არ იყო). ჩეკამ მოახერხა აღმოსავლეთ საქართველოში აჯანყების ხელმძღვანელთა შეიარაღებული გამოსვლის დაწყებამდე დაპატიმრება, დასავლეთ საქართველოში (განსაკუთრებით გურიაში, სამეგრელოში, იმერეთის რიგ რაიონებში) კი აჯანყებულ ხალხს რამდენიმე დღის განმავლობაში ხელთ ეპყრა ძალაუფლება.

აჯანყების დამარცხების შემდეგ ხელისუფლებამ მასობრივი ტერორი დაიწყო, რომლის შედეგადაც საქართველოში თავადაზნაურობის პროცენტული მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა (მანამდე ის 7 პროცენტს აღწევდა. საკავშირო 3 პროცენტის ფონზე ეს ბოლშევიკებისთვის საგანგაშო მაჩვენებელი იყო და მის შემცირებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ). სხვადასხვა წყარო აჯანყების მსვლელობისა და ტერორის დროს დაღუპულთა სხვადასხვა ციფრს ასახელებს: ერთი წყაროს მიხედვით დაიღუპა 1047, მეორე წყარო 1714 კაცს ასახელებს, ემიგრანტულ წყაროებში ეს ციფრი 3 ათასიდან 5 ათასამდე მერყეობს, ორჯონიკიძე კი თავის მოხსენებაში აცხადებდა, რომ დაღუპულთა რაოდენობამ 980 კაცი შეადგინა.

**და მაინც, როგორ უნდა შეფასდეს 1924 წლის აჯანყება? იყო ის „მენშევიკური ავანტიურა“, „ზედაფენების ამბოხი“, როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, თუ ეს იყო „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის კულმინაცია“, „საერთო-სახალხო გამოსვლა“, როგორც მას ქართული პოლიტიკური ემიგრაცია უწოდებდა?**

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, იდეოლოგიური წნეხისგან გათავისუფლებულ მკვლევარებს შესაძლებლობა მიეცათ, მიუკერძოებლად შეესწავლათ და ობიექტურად შეეფასებინათ 1924 წლის აჯანყება. იმათ ნაშრომებში 1924 წლის აჯანყების არაერთი მანამდე უცნობი დეტალი, მნიშვნელოვანი დოკუმენტი გამოვლინდა, რომლებმაც დამაჯერებლად დაადასტურეს, რომ აჯანყება მართლაც ფართო ფენების აქტივობას ეფუძნებოდა. ახლა უკვე 1924 წლის შეიარაღებული გამოსვლა **„საერთო-სახალხო მოვლენად,“** ხოლო მისი მონაწილენი **„ეროვნულ გმირებად“, „სამშობლოს თავისუფლებისთვის თავდადებულ გმირებად“** შეფასდნენ. ოდნავ მოგვიანებით, ეიფორიის ჩაცხრომის შემდეგ, ამ აღფრთოვანებული ეპითეტების გვერდით კვლავ გაჩნდნენ საბჭოური პერიოდის ტერმინები: „ავანტიურა“, „ექსტრემიზმი“. აჯანყების მოთავეებს „ერის გენოფონდის უაზრო განადგურებაში“ დასდეს ბრალი (გიორგი ციციშვილი) და ა. შ.

პლურალიზმის პირობებში ეს სავსებით ბუნებრივია და ამ საკმაოდ რთული მოვლენის წინააღმდეგობრივ ბუნებაზე მეტყველებს.

ერთი მხრივ, შექმნილი საერთაშორისო ვითარების რეალობას მოწყვეტილი ანალიზი, სასურველის სინამდვილედ წარმოდგენა, წინასწარ წაგებული აჯანყების თამაში მართლაც შეიძლება ავანტიურად თუ არა - უგუნურ, გაუმართლებელ ნაბიჯად მაინც შეფასდეს. მეორე მხრივ, ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ ვითარება, რომელშიც მაშინდელ პატრიოტებს უხდებოდათ გადაწყვეტილების მიღება: საბჭოთა რეჟიმით უკმაყოფილო პატრიოტულად განწყობილი ძალები პოლიტიკურ ხელმძღვანელებს ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ უარი განაცხადა ქვეყანაში რეფერენდუმის ჩატარებაზე და ამ გზით ქართველი ერის ნების გარკვევაზე. ხელისუფლება სულ უფრო და უფრო აძლიერებდა რეპრესიებს. ეროვნული ძალების პოლიტიკური ხელმძღვანელების წინაშე საკითხი ალტერნატივის სახით დაისვა: ან შერიგებოდნენ სამშობლოს ოკუპაციას და კომუნისტური რეჟიმის რეპრესიებს დალოდებოდნენ, ან სათავეში ჩადგომოდნენ პატრიოტული ძალების აღტკინებას და იარაღით ებრძოლათ საბჭოთა დიქტატურის წინააღმდეგ.

ქართველმა პატრიოტებმა მეორე გზა აირჩიეს.

1924 წლის აჯანყების მოტივებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი შალვა ამირეჯიბი შემდეგნაირად განმარტავდა:

**...აჯანყებანი ხდებიან არა მარტო იმიტომ, რომ ვითომც მათი სწორე შემზადება და შესრულება მუდამ შესაძლებელი იყოს, ან მათი გამარჯვება მუდამ უცილობელი - ასეთ გარანტიებს ვერ იძლევიან სამხედრო შტაბებიც — არამედ იმიტომ, რომ განსაზღვრულ ისტორიულ ჩარჩოში თვით აჯანყება ხდება გარდაუვალი ... აჯანყება, როგორც იდეა, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, როგორც საერთო საჯარო ეროვნული აქტი, რომელშიც ფასობს არა მარტო მისი ტაქტიკური გამარჯვება, არამედ უფრო მეტად მისი პოლიტიკური შინაარსი.**

**შალვა ამირეჯიბი**



(შალვა ამირეჯიბი, 1924 წლის აჯანყება, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წლის 2 მაისი).

ჰქონდა თუ არა ამ არჩევანს გამართლება, ანუ ჰქონდა თუ არა აზრი შექმნილ ვითარებაში ბრძოლას?

ამ კითხვაზე ერთადერთი მართებული პასუხია: **სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!**

ამის ნათელი დადასტურებაა არჩამქრალი თავისუფლების სული ქართველ ხალხში, ამის დადასტურებაა მომდევნო თაობების მადლიერება 1924 წლის გმირებისადმი.

**უჩა ბლუაშვილი.**

მედიცინა

# საყოველთაო დაზღვევის პროგრამაზე უკეთესი საქართველოში კარგა ხანია, არაფერი მომხდარა

**არჩილ ირემაძე: მოსახლეობა უნდა მიხვდეს, რომ პროფილაქტიკა და პრევენცია გაცილებით იაფია, ვიდრე გვიანდელ სტადიაზე გამოვლენილი დაავადების მკურნალობა**

– მედცენტრის ენდოკრინოლოგმა **არჩილ ირემაძემ** პირველადი ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამასა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

**– მიუხედავად იმისა, რომ პირველადი ჯანდაცვის სისტემა დაიხვეწა, დაიგნოსტიკა თავის ადგილზეა, პაციენტებმა იციან, ვის უნდა მიმართონ და ძველებურად დაბნეულები აღარ არიან. რა თქმა უნდა, როგორც ყველგან, აქაც არის გარკვეული ხარვეზები. ჯანდაცვის პირველადი რგოლის ეფექტიანობას, პირველ რიგში სჭირდება პაციენტების შეჩვევა. მოსახლეობა უნდა მიხვდეს, რომ პროფილაქტიკა და პრევენცია გაცილებით იაფი და მარტივია, ვიდრე გვიანდელ სტადიაზე გამოვლენილი დაავადების მართვა და მკურნალობა. ინფორმირებულობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობ, რეფორმა ამ მომენტს გაითვალისწინებს და დროთა განმავლობაში ყველაფერი ჩადგება თავის კალაპოტში.**

**პირველადი რგოლის რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა ექიმებისთვის მეტი განათლების მიცემა. ვფიქრობ, რომ გარკვეული ტრენინგები უნდა უტარდებოდეთ მათ პერიოდულად, რათა მედიცინის ყველა მიმდინარე სიახლეს ეცნობოდნენ. ასევე, ვფიქრობ, ხელფასის მომატებაც აუცილებელია ამ რგოლში. მოგეხსენებათ, ექიმების ხელფასი არის საკმაოდ დაბალი და თუ ამის გამოსწორებაც მოხდება, ყველაფერი იქნება იდეალურად. კარგად დატრენინგებული და ხელფასითაც უზრუნველყოფილი ექიმი ნამდვილად საიმედოა პაციენტისთვის,** – მიაჩნია მედიკოსს.

ირემაძე ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამის მიმდინარეობასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ამ პროგრამაზე მნიშვნელოვანი ბოლო ათწლეულებში საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში არაფერი მომხდარა.

**– უამრავ ადამიანს მიეცა შანსი, რომ საკუთარ ჯანმრთელობაზე ეზრუნა. უსახსრობის გამო ადამიანები ექიმთან ვერ მიდიოდნენ და შესაბამისად მათი დაავადებები უფრო და უფრო კრიტიკულ ფაზაში გადადიოდა. ათასობით სიცოცხლეა ფიზიკურად გადარჩენილი ამ პროგრამის წყალობით,** – ამბობს ირემაძე და იქვე აღნიშნავს, რომ საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

**„ერთი პერიოდი იყო ლაპარაკი იმაზეც, რომ შესაძლოა საერთოდ გაუქმდეს ეს პროგრამა, რაც ძალიან დიდი დარტყმა იქნება პაციენტებისათვის. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ სწორედ ჯანდაცვის პირველადი რგოლის რეფორმა წაეშველება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას და სისტემას გრძელვადიან პერსპექტივაში გაცილებით ხარჯეფექტურს გახდის. მოგეხსენებათ, პირველად რგოლში მკურნალობა გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე სტაციონარში“,** – განაცხადა ირემაძემ და დასძინა, რომ მედიცინის მუშაკები ხედავენ დადებით ეფექტს და ზოგადად კმაყოფილები არიან ჯანდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმების თანმიმდევრულობით.

პირველადი რგოლის რეფორმის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყების შესახებ მინისტრმა სერგეენკომ საჯაროდ განაცხადა. სამინისტროს ჯანდაცვის ამ რგოლის რეფორმირებაში დახმარებას საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფი „გლობალ ალიანსი“ გაუწევს.

**კახაბერ ნებიერიძე**



მაჩანჩალა პრივატიზაცია



# მხოლოდ კომპლექსური მკურნალობით...

**იმის მიუხედავად, რომ ლარის გაუფასურების მიზეზი მრავლადაა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ, ეროვნული ვალუტის „წონაში მოსამატებლად“ მაგისტრალური გზა შიდა რეზერვების ამოქმედებაზე გადის. ამიტომაც იყო, რომ მოკლე დროში გასატარებელ მთელ რიგ სხვა ღონისძიებებთან (მაგალითად, კომბანკებზე ზედამხედველობის შესახებ კანონის მიღებასთან) ერთად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ეგრეთ წოდებული „სწრაფი პრივატიზების“ პროცესი წამოიწყო. მაგრამ, სამწუხაროდ, იმედი იმედად დარჩა. სნეულ ლარს ვერც ტურისტულმა სეზონმა უშველა, პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ახალ კანონს ვეტო დაადო, ახლა კი ირკვევა, რომ ვერც სწრაფი პრივატიზების გეგმამ გაამართლა. ყოველ შემთხვევაში ობიექტური მონაცემები სწორედ ამას მიანიშნებს: ეროვნული ვალუტის გასამყარებლად გასაყიდად გამოტანილი სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ოცი ობიექტიდან, ჯერჯერობით მხოლოდ სამი გაიყიდა.**

ჯერ კიდევ ზამთრის მიწურულს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს იმის დიდი იმედი აქვს, რომ რამდენიმე თვეში სახელმწიფო ხაზინაში, სახელმწიფოს კუთვნილი ობიექტების პრივატიზების შედეგად, 300-350 მილიონი ლარის მობილიზება მოხერხდებოდა. არადა, მას შემდეგ, აგერ თითქმის ნახევარი წელი გავიდა, გასაყიდი ორი ათეული ობიექტიდან ჯერჯერობით მხოლოდ სამია გახსვისებული, საპროგონოზო თანხის ნაცვლად კი სახელმწიფო ბიუჯეტში მთლიანად მხოლოდ 38,55 მილიონი ლარი შევიდა, ისიც... ვირტუალურად. საქმე ისაა, რომ აღნიშნული თანხის – 25,4 მილიონი ლარის – რომელიც მარტში გაყიდულ ბათუმის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ყოფილ შენობაში მყიდველმა უნდა გადაიხადოს, ორი მესამედის გადახდა სამ წელიწადზეა გაწერილი. შემდეგ აპრილში ნარკოლოგიური ცენტრის ყოფილი შენობა 3,555 მილიონ ლარად გაიყიდა. არსებული ინფორმაციით, ორივეგან, შესაბამისად, 100 და 145-ნომრიანი სასტუმრო ანდა სავაჭრო-კომერციული და საოფისე ფართი უნდა აიგოს. ასევე ივნისში 9,45 მილიონ ლარად გაიყიდა თავად ჭანტურიას ქუჩაზე ეკონომიკის სამინისტროს მრავალსართულიანი შენობა, რა თანხის გადახდის ვადა 30 კალენდარული დღით განისაზღვრა.

**ყველაფერ ამასთან ერთად, სახელმწიფო ქონების სააგენტოს ცნობით, დანარჩენი ობიექტების გაყიდვასთან დაკავშირებით საქმიანი მოლაპარაკებები პოტენციურ მყიდველებთან გრძელდება და იმედი აქვთ, რომ ისინი წარმატებით დასრულდება. ესენია, კერძოდ, წყნეთის სამთავრობო აგარაკები და მიმდებარე ტერიტორია, სასტუმრო გუდაურში, ეროვნული ბანკის შენობა, გარდაბნის თბოელექტროსადგური, თბილისში ათონელის ქუჩაზე, ბობოყვათის, ბორჯომ-ლიკანისა და მესტიის სამთავრობო რეზიდენციები, ლატარიის სახელმწიფო კომპანიის ლიცენზია, შპს-ების „გრუზვინპრომისა“ და „აკურას“ ღვინის ქარხნები, თბილისში აბაშიძის ქუჩაზე ყოფილი ნარკოლოგიური საავადმყოფოს შენობა, წყალტუბოს სანატორიუმები, შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი – თბილისის ჯანმრთელობისა და რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი, თბილისში ბაღდადის ქუჩაზე 26,7 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი და ყოფილი რკინიგზის კოლეჯი.**

მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ რაოდენ ეფექტიანიც არ უნდა იყოს აღნიშნული ობიექტების გასხვისება ლარის კურსის გასამყარებლად, ეს პანაცეა მაინც ვერ იქნება, ამდენად ამას მხოლოდ დროებითი შვების მოცემა შეუძლია. თანაც, ეს, ცხადია, უმოკლეს დროში გეგმის ასპროცენტიანად განხორციელების შემთხვევაში. თუმცა კი თუ საქმის რეალურ ვითარებას შევაფასებთ, კერძოდ კი იმას, რომ ჯერჯერობით ყველაფერი მხოლოდ პოტენციურ მყიდველებთან ფასის თაობაზე წინასწარი მოლაპარაკებები მიმდინარეობს, ობიექტების გაყიდვის თაობაზე აუქციონები კი ჯერაც არ არის გამოცხადებული, ამის იმედი ნაკლებად უნდა გვქონდეს.

**ამ „მცირედი“ ხარვეზის გარდა, ექსპერტები პრივატიზებისადმი სრულიად დაულაგებელ მიდგომასაც აღნიშნავენ, რაც თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო ქონება მხოლოდ იმიტომ კი არ უნდა გასხვისდეს, რომ „ოღონდ გაიყიდოს და ბიუჯეტი შეივსოს“, არამედ ხელიდან ხელში საბაზრო ფასად უნდა გადავიდეს. თანაც თავად პროცესისგან რაიმე დამაიმედებელ შედეგს ლარის გამყარებასთან დაკავშირებით ნაკლებად მოელიან, რის უმთავრესი მიზეზი, ბევრ სხვასთან ერთად, შიდაპოლიტიკური დაპირისპირებაა, რაც პოტენციურ ინვესტორებს აფრთხობს.**

**გარდა ამისა, ლარის გამოჯანმრთელება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეუძლებელია ერთი, რაგინდ ძლიერი წამლის „მიღებით“ – პროცესის შენელება, მხოლოდ „კომპლექსური მკურნალობითაა შესაძლებელი“.**

**ოთარ ტურაბელიძე**

ალიან-ჩალიანი

## პური არ უნდა გაძვირდეს!

**ფქვილზე ფასის ზრდასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას შემოსავლების სამსახურში პასუხობენ და აცხადებენ, რომ ფქვილისა და ხორბლის იმპორტი ქვეყანაში დაუბრკოლებლად მიმდინარეობს.**

**„გეზში საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა სრულდება ერთ დღეში. ამის დასტურია სტატისტიკური მონაცემები“ - თუკი 2013-2014 წლებში 209 ათასი ტონა ხორბალი შემოვიდა, 2015 წლის იანვრიდან ივლისის ჩათვლით, შემოსულია 240 ათასი ტონა ხორბალი. ამავე პერიოდში ზრდის ტენდენცია აღინიშნება ფქვილის იმპორტთან დაკავშირებითაც“, – აცხადებენ შემოსავლების სამსახურში. ეს იმას ნიშნავს, რომ პური არ უნდა გაძვირდეს!**

## უბისის მონასტერთან ტურისტული ინფრასტრუქტურა ეწყობა

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, იმერეთის რეგიონში, უბისის მონასტერთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებს ახორციელებს.**

**პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნენ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ჯუანშერ ბურჭულაძე, ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე დავით ტაბიძე და მსოფლიო ბანკის მდგრადი განვითარების პროგრამების კოორდინატორი სამხრეთ კავკასიაში – აჰმედ აიველდა.**



**რეგიონული განვითარების პროექტის მიზანია, წვლილი შეიტანოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნებაში და ხელი შეუწყოს საქართველოში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. პროექტის ძირითადი ბენეფიციარები არიან ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთაც ტურიზმის განვითარების შედეგად გაუუმჯობესდებათ სოციალური მდგომარეობა, და რეგიონში ჩასული ტურისტები, რომელთაც შესაძლებლობა ექნებათ, გაუმჯობესებულ პირობებში გაეცნონ იმერეთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და ისარგებლონ ძეგლების მიმდებარედ გამართული ინფრასტრუქტურით. პროექტის ღირებულება 1 300 000 (1 320,159) ლარზე მეტია. სამუშაოები დასრულდება მიმდინარე წლის დეკემბერში. უბისის მონასტერს ასევე ესაჭიროება რესტავრაცია, რაც ასევე გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის რეგიონული განვითარების პროექტით.**

**ინტერპრესი**

**პოლიტიკაში გათვითცნობიერებულ მკითხველს კარგად ემახსოვრება აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას აკვიატებული მუქარა სირიის დაბომბვის თაობაზე. ისიც ემახსოვრება, თუ რა შეუპოვრობით გადაეშვა რუსეთის პრეზიდენტი პუტინი მოსალოდნელი სამხედრო კონფლიქტის მორევში. რომ არა მსოფლიო ლიდერთა (G-20) სანკტ-პეტერბურგის სამიტის მსვლელობისას პუტინის მიერ ობამას, მოლაპარაკების მაგიდიდან გვერდზე გაყვანა და გარიგების მსგავსი წინადადების შეთავაზება, ამერიკა კარგა ხანია ჩართული იქნებოდა სირიის წინააღმდეგ ომში, თანაც პირდაპირ და არა ისე, როგორც მანამდე და შემდეგ, ირიბად. მაშინ პუტინმა იხსნა აშშ-ის პრეზიდენტის მშვიდობისმოყვარის იმიჯი, ამასთანავე, აშშ-ის გამოისობით, ახალი საომარი კერის შექმნა.**

# რუსეთი და ამერიკა დანარჩენი მსოფლიოს პირისპირ

## კოქტეილი MADE IN USA



იმჟამად ვაშინგტონი და მისი დასავლელი პარტნიორები „დამაჯერებლად“ ამტკიცებდნენ, რომ სირიის სახელმწიფო არმიამ გამოიყენა ქიმიური იარაღი, მოწინააღმდეგე ძალების წინააღმდეგ.

მოგეხსენებათ, ქიმიური იარაღის გამოყენება აკრძალულია გაეროს მიერ და აქედან გამომდინარე, ბაშარ ასადის „დანაშაული“ ისეთი იყო, ჰააგის ტრიბუნალს რომ არ ასცდებოდა.

ამერიკელთა გადაწყვეტილებას ისიც უწყობდა ხელს, რომ სირიას მართლაც გააჩნდა ქიმიური იარაღის ქარხნები. თუმცა, ერთია, იარაღის ქონა, ხოლო მეორე, მისი საომარი მოქმედების დროს გამოყენება.

იმჟამად ოპოზიციური დაჯგუფებების წინააღმდეგ მართლაც გამოიყენეს ქიმიური იარაღი, მაგრამ ბაშარ ასადი არაფერ შუაში იყო. ვინ დაუჯერა?!

საბაბის მომლოდინე ვაშინგტონი არაფრად აგდებდა განწირული ბაშარ ასადის კივილს – დამასკო არაფერ შუაშია, ქიმიური იარაღი თვით ოპოზიციამ გამოიყენა დამასკოს დასადანაშაულებლადო.

„არაო!“ – ბრძანა ობამამ, – ქიმიური იარაღის გამომყენებელი ასადი უნდა დაისაჯოს და დასჯაც უმალ განხორციელდება სირიაზე მასირებული საჰაერო დაბომბვებითო.

ეს, არასასიამოვნო პოლიტიკური სიუჟეტი სანკტ-პეტერბურგის სამიტს დაემთხვა და სწორედ მაშინ პუტინი, მატროსოვივით, გადაეფარა ობამას ამბრაზურას – შემხვედრი წინადადებით – სირიის ქიმიური იარაღის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

მაშინ ვაშინგტონს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ვინაიდან მზაკვრულად დაგეგმილი ანტისირიული პროგრამა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, საჰაერო თავდასხმის გზით ბაშარ ასადის ხელისუფლების დამხობას ითვალისწინებდა, შეჩერდა. „დამნაშავე“ ასადი დაეთანხმა პუტინის წინადადებას – ქიმიური იარაღის განადგურების თაობაზე, რამაც კმაყოფილება გამოიწვია მსოფლიო საზოგადოებაში.

ქიმიური იარაღის განადგურების პროცედურა მალევე დაიწყო და დასასრულამდეც მივიდა რუსეთ-ამერიკის ძალისხმევით. ამ ამბავმა რუსეთის პრეზიდენტის პოპულარობა, როგორც მშვიდობისმოყვრის, ერთი-ორად გაზარდა, რამაც ერთობ მძიმედ იმოქმედა აშშ-ის პრეზიდენტზე.

ანტისირიულ-ანტირუსული ამერიკული გეგმის ჩაშლის ისტორიას ცეცხლზე ნავთი დაასხა გარკვეული ამერიკული ძალებისა და მედიის გამცხადებებმა. პრეზიდენტის კრიტიკა მეტად მკაცრი და შეურაცხმყოფელიც იყო რესპუბლიკელთა მხრიდან. არადა, როგორ უნდა აიტანო ზედმიწევნით ზუსტად დაგეგმილი პროექტის ჩაშლა?

მაშინ ყველაფერი ბაშარ ასადს დაბრალდა. ოპოზიცია კი უმანკო კრავად მოინათლა და ამ სცენარში უდიდესი წვლილი აშშ-ის ადმინისტრაციამ შეიტანა. მთავარი მიზანი – სირიაზე საჰაერო იერიში, ასადის ჩამოგდებით ვერ განხორციელდა.

ამ ამბის შემდეგ უმალ მივხვდი, რომ ობამა პუტინს დამარცხებას არ აპატიებდა. ჩემს შავ-ბნელ წინასწარმეტყველებას ზურგს ამერიკელი ექსპერტების განცხადებებიც უმაგრებდა. მათი მიხედვით, ამერიკა რაღაც ისეთს ააგორებდა რუსეთის წინააღმდეგ, რომ სირიული წარმატება სრულიად გაცამტვერდებოდა.

„რაღაც ისეთი“ – უკრაინა გამოდგა – ახალი დაძაბულობის ეპიცენტრი, მოგიზგიზე ანტირუსული კოცონი რუსეთ-უკრაინის გრძელ საზღვართან.

ის, რომ ვაშინგტონი წლების განმავლობაში ამზადებდა უკრაინას ანტირუსული გამოხდომისთვის, დამტკიცებული ფაქტია და მას ვერსად გავექცევით. რევოლუცია უნდა მომხდარიყო, მაგრამ არა იმ დროს, როდესაც მოხდა, არამედ ერთი წლით გვიან, საპრეზიდენტო არჩევნების დროს. პროცესი, სირიის მოვლენებმაც დააჩქარეს. ობამას შელახული პატივმოყვარეობა მოითხოვდა ამას. და „მაიდანიც“ აგუგუნდა, არა მარტო ფუნთუშებით, არამედ იმჟამინდელი ოპოზიციისთვის – დღევანდელი ხელისუფლებისთვის მიწოდებული იარაღით, მწვანე დოლარებით, მსოფლიო მედიის PR-ით და ა.შ.

ობამამ პუტინს სირიულ ფრონტზე მოპოვებული წარმატება არ აპატია, არ შეარჩინა.

დღეს რუსეთისთვის ყველაზე დიდი პრობლემა უკრაინაა – მზარდი ანტირუსული განწყობით უკრაინაში, ამერიკული ხელისუფლებით – ყოველგვარი „პრო“-ს გარეშე. მაინც, როგორ უნდა აიტანოს რუსეთმა ისტორიულად რუსულ ქალაქ ოდესაში, აშშ-ის მარიონეტის, ანტირუსი სააკაშვილის ბოგინი?!

სირია რუსეთისთვის მეორე პლანზე გადავიდა. ამერიკისთვის ის, ისევ პირველ პლანზეა და თუ ერთი წლის წინათ სირიის წინააღმდეგ ობამამ საჰაერო შეტევა ვერ განახორციელა, ახორციელებს დღეს, თურქეთში არსებული (ინჯირლიკის) ამერიკული სამხედრო ბაზიდან. ამერიკულმა გამანადგურებლებმა უკვე არაერთი შეტევა მიიტანეს სირიის ტერიტორიაზე განლაგებული „ისლამური სახელმწიფოს“ სამხედრო ბაზებზე. მოტივი ისევ ქიმიური იარაღის გამოყენებაა, ოღონდ ამჯერად სწორედ მათი მხრიდან, ვინც ამერიკულ ვიდეომასალებში ტანჯვისგან იკლაკნებოდნენ, ასადის მიერ „ნასროლი“ ქიმიური ბომბების შედეგად.

**დღეს რუსეთისთვის ყველაზე დიდი პრობლემა უკრაინაა – მზარდი ანტირუსული განწყობით უკრაინაში, ამერიკული ხელისუფლებით – ყოველგვარი „პრო“-ს გარეშე. მაინც, როგორ უნდა აიტანოს რუსეთმა, ისტორიულად რუსულ ქალაქ ოდესაში აშშ-ს მარიონეტის, ანტირუსი სააკაშვილის ბოგინი?!**

მსოფლიო მედია დღეს დაბეჯითებით გაჰყვირის დამნაშავე „ისლამურ სახელმწიფოზე“, რომელიც ქიმიურ იარაღს იყენებს ქურთი მეომრების წინააღმდეგ. ესენი სწორედ ის „უმანკო კრავები“ არიან, შარშან, ვაშინგტონმა რომ ასეთად მონათლა. ესენი, ისინი არიან, ვინც ამერიკელთა ძალისხმევით „ისლამურ სახელმწიფოდ“ ჩამოყალიბდნენ, უპირველესად, ბაშარ ასადის ხელისუფლების დასამხობად.

ქიმიური იარაღის გამოყენების შემდეგ, ამერიკული თვითმფრინავებით „ისლამური სახელმწიფოს“ დაბომბვას, მისი წარმომადგენლის სატელევიზიო გამოსვლა მოჰყვა, რომელმაც განაცხადა, რომ ქიმიურ იარაღს კვლავაც გამოიყენებს, ამასთანავე ტერორისტულ აქტებს განახორციელებს ამერიკელ მაღალჩინოსნების წინააღმდეგ, თანდართული სიის მიხედვით.

ახლო აღმოსავლეთი იმ პოლიტიკურ-რელიგიური დუღილით გამოირჩევა, რომლის თავის და ბოლოს გარჩევა ჭირს. ეს, ის ამღვრეული წყალია, რომელშიც 70 წელიწადია, აშშ ხელს აფათურებს. წინა წლებზე არაფერს ვიტყვი. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მან მოახერხა ისეთი ვითარების შექმნა, რომ სირიის ტერიტორიის დაბომბვას მსოფლიო საზოგადოება აუღელვებლად შეხვდა. მხოლოდ რუსეთმა განაცხადა, რომ დაბომბვა სირიის სუვერენიტეტის შელახვაა.

ახლა, რაც შეეხება „ისლამურ სახელმწიფოს“ კავშირს უკრაინასთან. ბრიტანელი ჟურნალისტი შონ უოლკერი, რომელიც ერთი თვის წინათ იმყოფებოდა უკრაინაში, გაზეთ „გარდიანში“ წერს – „ახალს არაფერს ვიტყვი მუსლიმანური ბატალიონების შესახებ, რომლებიც უკრაინის რეჟიმის მხარეს იბრძვიან“.

ჯოხარ დუდაევის და შეიხ მანსურის სახელობის ბატალიონები გასული წლის გაზაფხულიდან მოქმედებენ უკრაინაში. ბატალიონებში მყოფი მებრძოლების უმრავლესობა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები არიან. „მუსლიმანური ბატალიონის“ შექმნის შესახებ პირველად დანიაში გამოცხადდა – 2014 წლის მარტში, „მაიდნის“ გადატრიალებიდან ერთი კვირის შემდეგ. ინიციატორი ამ ამბისა იყო ემიგრანტული ექსტრემისტული ორგანიზაცია „თავისუფალი კავკასია“, რომელმაც მხარი დაუჭირა „მაიდანს“ რუსული იმპერიის წინააღმდეგ ომში. **ბატალიონის მეთაური ისა მუნაევი აცხადებდა: – „რუსეთის ფედერაციის ნებისმიერი მტერი, ჩემი მეგობარია“.**

2015 წლის თებერვალში დებალცევოს ომის დროს ის მოკლეს. მუნაევი ჩაანაცვლა ადამ ოსმაევმა – მდიდარი ჩეჩენის შვილმა. თუ მუნაევი რუსეთის წინააღმდეგ საომრად დანიიდან გაიგზავნა, ოსმაევი – დიდი ბრიტანეთიდან, სადაც ის 1994 წლიდან 2001 წლამდე ცხოვრობდა.

ბრიტანელ ჟურნალისტს ოსმაევმა განუცხადა, რომ ცდილობს, უკრაინაში ჩაიყვანოს ჩეჩენი ბოევიკები, რომლებიც სირიაში იბრძვიან. ასეთი სირიაში მინიმუმ 1000 კაცია.

გარდა დუდაევის სახელობის ბატალიონისა, არსებობს შეიხ მანსურის ბატალიონიც, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩეჩენი, მეტსახელად „მუსლიმანი“. ის მონაწილეობდა „ნორდ-ოსტისა“ და ბესლანის ტერაქტებში. მის ბატალიონში არიან სირიის ომში მონაწილენიც, რომელთა ხელიც სირიელი ქრისტიანების სისხლითაა შეღებილი.

**ომამდე, სირიაში ორი მილიონი ქრისტიანი ცხოვრობდა. დღეს, მათი რაოდენობა ათასებს თუ ითვლის. ქრისტიანებს წვავენ, თავებს კვეთენ, ჯვარზე აკრავენ. სირიის ქრისტიანობა ნელ-ნელა კვდება.**

ექსპერტთა მონაცემებით, სირია-უკრაინის თანამშრომლობა ჯერ ისე არ გაფურჩქნილა, როგორც ეს არის გამიზნული. გამიზნული კი გრანდიოზული გეოპოლიტიკური პროექტია, რომელშიც უდავოდ მიიღებენ მონაწილეობას ზემოთ მოყვანილი ბატალიონები, ცხადია, უკრაინელებთან ერთად და ცხადია, რუსეთის წინააღმდეგ. დღეს კი შეიხ მანსურის ბატალიონი და უკრაინული „მარჯვენა სექტორი“ დონბასში, ერთ ყაზარმაში ცხოვრობს.

**რუსეთის წინააღმდეგ ირაზმებიან მსოფლიოს ექსტრემისტი ისლამისტები, ულტრანაციონალისტები, რასისტები, ნეონაცისტები. დავუმატოთ ამათ ქართველი ნაცისტები და თვით რუსი ანტიპუტინისტები – როგორი კოქტეილია?! ამ კოქტეილს „Made in USA“ ჰქვია.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ალიან-ჩალიანი

## თბილისის მერი ისრაელს სტუმრობს

**საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის მიერ ორგანიზებული ვიზიტის ფარგლებში თბილისის მერი იერუსალიმის მერსა და ებრაელ ინვესტორებს შეხვდა.**

**ვიზიტის ფარგლებში ბიზნეს-ფორუმი გაიმართა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ბიზნესმენები სპეციალურად ამ ფორუმზე დასასწრებად ჩამოვიდნენ. თბილისის მერმა პირველი შეხვედრა ჰაიტეკის წარმომადგენლებთან გამართა. საუბრის მთავარი თემა სტარტაპების განვითარებისთვის საჭირო ახალი ტექნოლოგიების დანერგვა იყო. დავით ნარმანიამ ისრაელის გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვა.**

**საქართველო-ისრაელის ბიზნეს-პალატის ქართული დელეგაციის ებრაელ ინვესტორებთან შეხვედრას წარმომადგენლებმა ორგანიზება გაუწიეს. ბიზნეს-ფორუმზე ქართულმა მხარემ საქართველოს ბიზნეს-პოტენციალის შესახებ ისაუბრა და სხვადასხვა პროექტის პრეზენტაცია გამართა.**

**იერუსალიმის მერთან შეხვედრისას იერუსალიმის მერი ნირ ბარკათი თბილისის საინვესტიციო გარემოთი, ტურიზმისა და სამედიცინო სფეროთი დაინტერესდა. ორი ქვეყნის დედაქალაქების მერების ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. მათი განცხადებით, ტურიზმის განვითარება მათთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. იერუსალიმის მერი დავით ნარმანიას ძველი ქალაქის განვითარების გამოცდილების გაზიარებას დაჰპირდა.**

**ბიზნეს-ფორუმის ორგანიზატორის იციკ მოშეს განცხადებით საფუძველი ჩაეყარა ორმხრივი ურთიერთობის ახალ ფორმატს, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა სფეროში კომპლექსურ თანამშრომლობას. იციკ მოშეს თქმით, ბიზნეს-ფორუმის შემდეგ საქართველოში ებრაული ინვესტიციით მრავალმილიონიანი პროექტების განხორციელებას ელოდება.**

## ეხმარებიან „სითი პარკის“ მიერ დაჯარიმებულებს

**თავისუფალი საქართველოს“ წევრები კომპანია „სითი პარკის“ ოფისთან შეიკრიბნენ და იმ მოქალაქეებს, რომელთა მანქანაც „სითი პარკმა„ ავტოსადგომზე გადაიყვანა, თბილისის მერიაში საჩივრის შეტანისკენ მოუწოდებენ.**

**როგორც „თავისუფალი საქართველოს„ წევრმა შოთა მაქაცარიამ განაცხადა, კომპანია „სითი პარკს“ ავტომობილების ევაკუაციის უფლება, თუ ის არ აფერხებს მოძრაობას, არა აქვს. შესაბამისად, გასაჩივრების შემთხვევაში, თბილისის მერია მოქალაქეებს ამართლებს.**

**„ჩვენ მოქალაქეებს მოვუწოდებთ, რომ ჯარიმის ფურცლები, რომლებიც ავტომობილის ევაკუაციაზეა გამოწერილი, მოგვიტანონ ჩვენ, ამის შემდეგ ჩვენ სრულიად უფასოდ გავასაჩივრებთ მერიაში“, – განაცხადა შოთა მაქაცარიამ.**

ინტერპრესი

◎ ქართულ-უკრაინული გამოფენა



# „ფიქრის ფორმის მანიფესტი - გაუჩინარების გზა“

## სტამბულისა და კიევის საერთაშორისო ბიენალეებზე

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ქართულ-უკრაინული გამოფენა - **„ფიქრის ფორმის მანიფესტი - გაუჩინარების გზა“** იქნება წარმოდგენილი 2015 წლის 2-30 სექტემბერს, სტამბულის საერთაშორისო ხელოვნების მე-14 ბიენალეს პარალელური პროგრამის ფარგლებში და კიევის ბიენალეზე, (8 სექტემბერი-1 ნოემბერი). სტამბულის საერთაშორისო ხელოვნების მე-14 ბიენალეს თემაა „SALTWATER a Theory of Thought Forms“ – („ზღვის წყალი - ფიქრის ფორმის თეორია“), კიევის ბიენალესი კი - „The School of Kyiv“ (კიევის სკოლა).

ქართული გამოფენის იდეის ავტორი ცნობილი ავსტრიელი კურატორი გეორგ შოლჰამერია, რომელიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მოწვევით, თბილისს 2-4 ივნისს სტუმრობდა. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, გეორგ შოლჰამერი სხვადასხვა სახელოვნებო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, კურატორებსა და ხელოვანებს შეხვდა, 100-ზე მეტი არტისტის პორტფოლიოს გაეცნო და არჩევანი სამ ქართველ არტისტზე – ანა ჩადუნელზე, თამარ ჭაბაშვილზე და უტა ბექაიაზე შეაჩერა. პარალელურად, ქართულ-უკრაინულ გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად არტისტები შეირჩნენ უკრაინიდანაც - ანა ზვიაგენცევა და ლადა ნაკონეჩნა.

„გამოფენა, რომლის ფარგლებშიც საქართველოსა და უკრაინაში დაბადებული ახალგაზრდა და შუა თაობის ქალი არტისტების ნამუშევრები იქნება გაერთიანებული, სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენს კიევისა და თბილისის წინააღმდეგობრივ ისტორიასა და რეალობას. წარმოდგენილ ნამუშევრებში აისახება არტისტების დამოკიდებულება მრავალ მხარეს მიმავალი ბილიკების, ზეგავლენებისა და კონფლიქტები მიმართ, რომლებიც ქნიან ისტორიებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსა და უკრაინის, როგორც მედიატორების როლს, ევროპულ და აზიურ კულტურებს შორის;

ნამუშევრები გამომდინარეობს შემდეგი კონტექსტიდან - პოსტსაბჭოთა რეალობა და გამორიყვა ევროპული კონტექსტიდან „სხვები“: ისტორიული მეხსიერების წინააღმდეგობრიობა და ევროპის კრიზისის რეალობები; ადგილობრივი რეალობისა და ტრადიციის გენდერული კონტექსტუალიზაცია; ტერიტორიული არასტაბილურობის და ძალაუფლებაზე ჰეგემონური პრეტენზიების უგულებელყოფა და „ერების“ კულტურული თვითმყოფადობის წარმოჩენა;

**პროექტი „ფიქრის ფორმის მანიფესტი – გაუჩინარების გზა“ კონსტრუქციებში აისახება და გადმოსცემს უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიებზე საუკუნეების მანძილზე მიმდინარე მოვლენებს; სიცრუის ზღვარზე განვითარებული კულტურული თვითმყოფადობის ჩამოყალიბების, იდეოლოგიური და ეკონომიკური ზეწოლისაგან ადგილობრივი მაცხოვრებლების თავდაცვის მცდელობას“** – ამბობს გეორგ შოლჰამერი ვენაში მოღვაწე მწერალი და რედაქტორი.

**თეა მოსია**

◎ ქუთაისი




## „ზაფხულის საღამოები“

**ქუთაისში დღეიდან „ზაფხულის საღამოები“ დაიწყო, რომელიც ტრადიციულად ქალაქის რეაბილიტირებულ უბანში იმართება.**

**ქუთაისის მერიის ინფორმაციით, ამჯერად 18 აგვისტოდან 7 სექტემბრის ჩათვლით, ზაფხულის ცხელი დღეების განმავლობაში ქალაქში დარჩენილ ქუთაისელებს, ყოველი კვირის დასაწყისში ელოდებათ შეხვედრა საინტერესო ადგილობრივ ბენდებთან და ინდივიდუალურ შემსრულებლებთან.**

**ღონისძიებები „ზაფხულის საღამოები“ ქუთაისის მერიამ დააფინანსა.**

**ინტერპრესი**

# თბილისის უბნების სახელწოდებები

## სიძველისადმი გრძნობა - პატივი...

**ცხოვრებაში ერთხელ მაინც, ყველა ჩვენგანს გვიფიქრია თბილისის უბნების ძველ სახელწოდებებზე, თუ რის მიხედვით ან ვინ შეურჩია ისინი ამა თუ იმ უბანს. როგორც აღმოჩნდა, არსებობს ადგილები, რომელთა სახელწოდებასთან დაკავშირებითაც, ცნობები საერთოდ აღარაა შემორჩენილი. ასეთია, მაგალითად, ლილო, კუკია, ფონიჭალა, ჩუღურეთი, სოლოლაკი და საბურთალო.**



* * *

ამ ჩამონათვალს ეკუთვნის **ვარკეთილიც**. ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის თანამშრომლის ეთერ ლოლუას თქმით, გადმოცემის მიხედვით, მას ვერე კეთილი ერქვა. უფრო კონკრეტული მონაცემები და ოფიციალური წყაროები ვარკეთილის სახელწოდებასთან დაკავშირებით არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში ამ დრომდე არ აღმოჩენილა.

* * *

ქართული ენციკლოპედიის რედაქციის მიხედვით, სიტყვა **ორთაჭალა** ორი სიტყვის ნაერთია: ორთა თურქული სიტყვაა და შუას ნიშნავს, შესაბამისად ეს სიტყვა ითარგმნება, როგორც შუაჭალა. თავის დროზე ორთაჭალა კუნძულს ერქვა, რომელსაც ორად განტოტებული მტკვარი წარმოქმნიდა. ის მარჯვენა ნაპირს ხის საცალფეხო ხიდით უკავშირდებოდა. უფრო მოგვიანებით, ორთაჭალა მტკვრის მარჯვენა მხარეს მიმდებარე ტერიტორიას ეწოდა. მე-19 საუკუნეში ორთაჭალა განთქმული იყო ბაღებით და თბილისელების საყვარელ დასასვენებელსა და გასართობ ადგილს წარმოადგენდა.

* * *

საინტერესო ისტორია აქვს **ისნის** დაარსებასაც. მე-9 საუკუნეში ამ ადგილას არაბებმა ციხესიმაგრე „ისან-ჰისარი“ ააგეს. სწორედ ციხესიმაგრიდან გამომდინარე ამ ტერიტორიას ისანი დაერქვა. მე-12, მე-13 საუკუნეში ისანში სამეფო სასახლე იდგა. მე-13 საუკუნეში ღვთისმშობლის სახელზე მეტეხის ეკლესია ააგეს, ამის გამო გვიანდელი შუასაუკუნეებიდან ისნის უბანი „ისნის ციხისა“ და მეტეხის სახელით იხსენიებოდა, ხოლო „ისნის ველმა“ ავლაბრის სახელი დაიმკვიდრა.

* * *

**ღრმაღელეს** ადგილზე თავის დროზე მშრალი ხევი ყოფილა, რომელიც დიდი წვიმების დროს ღელედ იქცეოდა. სწორედ ამ, ჩახრამული რელიეფის გამო მას ღრმაღელე დაერქვა.

* * *

**ავჭალაში** მცხოვრებლებს ეს ინფორმაცია ალბათ არ შეაშინებთ, მაგრამ აქ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის პირა სოფელი ყოფილა, ხოლო მისი მკვიდრები კი დარწმუნებულები ყოფილან, რომ ავჭალის დაჭაობებულ და გაუვალ ადგილებში ავი სულები ბინადრობდნენ. როგორც ხალხშია გავრცელებული, ამ ცრურწმენიდან, „ავი ჭალიდან“ გამომდინარე თბილისის ჩრდილოეთ ნაწილში, მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე ტერიტორიას სახელი ავჭალა დარქმევია.

სახელწოდება **ვაკე** მე-19 საუკუნეში გაჩნდა, ის დაცემულ ადგილს ნიშნავს. ვაკე ძველი ვერის (საგაბაშვილოს) ტერიტორიაზე წარმოშობილი დასახლებული პუნქტია. ის თბილისს 1907 წელს შეუერთდა.

* * *

**ვერა,** იგივე ვერე, ამ ტერიტორიაზე მდებარე სოფელ ვერიდან წარმოიშვა. ის გაბაშვილების მამული იყო. ამის გამო მას საგაბაშვილოსაც უწოდებდნენ ხოლმე.

* * *

თბილსის ერთ-ერთ ძველ უბანს **დიდუბეს**, ეს სახელი დაცემული ადგილმდებარეობის გამო დარქმევია. მას თავის დროზე „დიდ დუბეს“ უწოდებდნენ. სულხან-საბა-ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით დუბე დაბალ ადგილს ნიშნავს.

* * *

**გმირთა მოედანი** საბჭოთა კავშირის დროს დაარსდა. ეს სახელწოდება მას გემ „ჩელიუსკინის“ ეკიპაჟის გადამრჩენი მფრინავების პატივსაცემად დარქმევია. აქ ადრე ცნობილი ვერის ბაღები იყო. მე-19 საუკუნის ბოლოს ამ ადგილით ქალაქი მთავრდებოდა და საქართველოს სამხედრო გზა იწყებოდა.

* * *

**ვარკეთილი**ს ზემო პლატოსა და ორხევის დასახლებას შორის პირუტყვის სასაკლაოები ყოფილა. აქ არსებული ანტისანიტარიისა და სუნის გამო მას დამპალოს დასახლება ეწოდა.

* * *

მტკვრის მარჯვენა მხარეს, თბილისის დასავლეთ ნაწილში მდებარე უბნის, **ვეძისის** სახელი ძველი ქართული სიტყვიდან „ვეძიდან“ მომდინარეობს. „ვეძა“ სულხან-საბა-ორბელიანის მიხედვით, „მომჟაო წყაროს“ ნიშნავს. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ორი სოფელი, ქვემო და ზემო ვეძისი არსებობდა. ეს ტერიტორია თბილისს ამავე საუკუნის 40-50-იან წლებში შემოუერთდა.

* * *

**ნავთლუღი** თურქული სიტყვაა და ნავთიან ადგილს ნიშნავს. „მუნ დის ნავთი“, – ასე დაახასიათა ნავთლუღი მე-18 საუკუნეში თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ვახუშტი ბატონიშვილმა. ის XVII-XVIII საუკუნეში ქალაქისპირა სოფელი იყო და თავად სუმბათაშვილებს ეკუთვნოდათ.

* * *

სახელი **რიყე** გვიანდელ შუასაუკუნეებში „ავლაბრის ჭალას“ მტკვართან სიახლოვის გამო ეწოდა. ბანოვის მიერ შედგენილ 1809 წლის გეგმაზე ამ ადგილას დატანილია კუნძული, რომელიც მტკვრისგან მარცხენა ტოტით იყო გამოყოფილი. დროთა განმავლობაში ტოტში წყალმა იკლო, რამაც 20-30-იან წლებში აქ დასახლებულ გერმანელ მოახალშენეებსა და მოლოკნებს საშუალება მისცა ნაპირები სახელდახელოდ გაემაგრებინათ. მათ დიდი შრომით მოახერხეს მტკვრისთვის მიწის ნაკვეთის წართმევა, რითიც რიყის ტერიტორია გაიზარდა. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში აქ „ზალცმანის სასტუმრო“ იდგა, რომელიც ფრიდრიხ ზალცმანს, თბილისელი არქიტექტორის, ალბერტ ზალცმანის მამას ეკუთვნოდა. აქვე იყო ზუბალაშვილების, მელიქიშვილების, ხოსროევისა და მირზოევის ქარვასლები. რიყეზე საკვირაო ბაზრობები ეწყობოდა. რიყე ქალაქის ყველაზე დაბალ ნაწილში, უშუალოდ მტკვრის ნაპირზე მდებარეობს, ამიტომაც წყალდიდობების დროს ხშირად ზარალდებოდა.

**aww.ge**

ძიუდო

# ასტანაში მედლებისა და სალიცენზიო ქულებისთვის



**ყაზახეთის დედაქალაქი ასტანა 24-30 აგვისტოს ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში საქართველოს ვაჟთა ნაკრები არასრული შემადგენლობით მოსიჯავს ძალებს.** პირადი პირველობის 66-სა და 100 კილოში მონაწილე არ გვეყოლება, დანარჩენ წონებში კი იასპარეზებენ: ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი ამირან პაპინაშვილი (60), კონტინენტის პირველობისა და ლონდონის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული ლაშა შავდათუაშვილი, ევროპის ორგზის ფინალისტი და ევროპული თამაშების ვიცე-ჩემპიონი ნუგზარ ტატალაშვილი (ორივე – 73), ევროპის სამგზის, მსოფლიოს ჩემპიონატისა და პირველი ევროპული თამაშების ოქროსმედალოსანი ავთანდილ ჭრიკიშვილი, უშანგი მარგიანი (81), ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატისა და ევროპული თამაშების ფინალისტი ვალერი ლიპარტელიანი, ბექა ღვინიაშვილი (90), ევროპისა და ევროპული თამაშების ჩემპიონი ადამ ოქრუაშვილი და ლევან მატიაშვილი (+100); გუნდურში მათ ვაჟა მარგველაშვილი (66) დაემატება. ქალთა ტურნირში ერთი მონაწილე გვეყოლება – ესტერ სტამი (70).

საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები ბოლო დროს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ლიკანში ემზადებოდა, კარგ პირობები ჰქონდათ. ბიჭები შეკრებისას ოლიმპიურ ჩემპიონ ზურაბ ზვიადაურს მოუნახულებია და ჭრიკიშვილთან სპარინგშეხვედრაც გაუმართავს.

ჩვენი ნაკრების ერთი ნაწილი (ფედერაციისა და ნაკრების ხელმძღვანელები, პაპინაშვილი, ტატალაშვილი, შავდათუაშვილი, ჭრიკიშვილი და მარგიანი) გუშინ გაემგზავრა ასტანაში. მეორე ჯგუფი თბილისში განაგრძობს მომზადებას გიორგი გუგავას და გიორგი ბაინდურაშვილის ხელმძღვანელობით. ყაზახეთის დედაქალაქისკენ კი 22 აგვისტოს აიღებს გეზს. ესტერ სტამი ჰოლანდიაშია და ასტანაშიც იქიდან ჩაფრინდება. ჩემპიონატის გამარჯვებულები და პრიზიორები მედლებთან ერთად სოლიდურ სალიცენზიო ქულებსაც დაიმსახურებენ.

**სურათზე: საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები.**

3X3 კალათბურთი

# მეოთხედფინალში ესპანელებს დანებდნენ

**წლეულს 3X3 კალათბურთში საქართველოს ჩემპიონობა „სოხუმმა“ მოიპოვა და რუმინეთში საერთაშორისო ტურნირზე გამოსვლის უფლებაც დაიმსახურა.** დავით ბარბაქაძის ხელმძღვანელობით ბუქარესტში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის 16 გუნდი იბრძოდა პირველობისთვის, ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდნენ ვახტანგ ქადარია, ბექა გოლეთიანი და ბუბა ბერიშვილი.



„სოხუმი“ სერბულ, რუმინულ და ირლანდიურ გუნდებთან მოხვდა. პირველი მატჩის სერბებთან წაგების შემდეგ ჩვენებმა ირლანდიელები და რუმინელები დაამარცხეს. მასპინძლებთან პაექრობისას ქართველი კალათბურთელები საფინალო სირენამდე 2 წამით ადრე 2 ქულით აგებდნენ შეხვედრას, მაგრამ დარჩენილ მცირე დროში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, დამატებითში კი გაიმარჯვეს და მეოთხედფინალში გავიდნენ, სადაც ესპანელებთან 12:21 დათმეს მატჩი. გადამწყვეტ პაექრობაში სერბებმა 20:18 სძლიეს პირენეელებს და მთავარი პრიზი მოიპოვეს.

**სურათზე: „სოხუმი“ ბუქარესტში.**

ჭადრაკი

# კვარცხლბეკს ვერ მიუახლოვდნენ



**საქართველოს ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა რიგაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში. სამწუხაროდ, ჩვენები საპრიზო ადგილებს ვერ მიუახლოვდნენ. დიდოსტატმა მერაბ გაგუნაშვილმა ცხრა შეხვედრიდან 6 ქულას მოუყარა თავი და 38-ე ადგილზე გავიდა, ნიკოლოზ ქუმსიაშვილმა 5.5 ქულა მოაგროვა, რაც 55-ე ადგილისთვის ეყო.**

ცხრა შესაძლებლობიდან 7.5-7.5 ქულით პირველი-მეორე ადგილები ალექსეი შიროვმა (ლატვია) და რობერტ ჰოვანისიანმა გაიყვეს, 7-7 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებზე რინატ ჯუმაბაევი (ყაზახეთი) და იგორ კოვალენკო (ლატვია) გავიდნენ.

რაგბი

# ოთხთა ტურნირი „ხარებმა“ მოიგო



**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტის ინიციატივით ოთხთა ტურნირი გაიმართა,** რომელშიც უმაღლესი ლიგის გუნდები – რუსთავის „ხარები“, ბოლნისის „ყოჩები“, თბილისის „ლოკომოტივი“ და „აკადემია“ მონაწილეობდნენ. „ხარებმა“ ზედიზედ მოუგო „ყოჩებს“ – 34:26, „აკადემიას“ – 19:8, „ლოკომოტივს“ – 22:17 და ასპარეზობის გამარჯვებულისთვის განკუთვნილი თასიც დაიმსახურა.

წყალბურთი

# ჩერნოგორიაში მოემზადებიან



**წყალბურთელ ვაჟთა 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის დასკვნით რაუნდს გაისად იანვარში ბელგრადი უმასპინძლებს. იქ გამოსვლის უფლება წინა ევროპის ჩემპიონატიდან რვა გუნდს დაზევებული აქვს, დანარჩენი რვა საგზურისთვის 16 ნაკრები იბრძვის, მათ შორის საქართველოს ეროვნული გუნდი, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი რაუნდის სამი შეხვედრიდან შინ პორტუგალიას და შვეიცარიას მოუგო, სლოვაკეთთან კი დამარცხდა. მეორე რაუნდი 9-11 ოქტომბერს ისრაელში გაიმართება. ჩვენები მასპინძლებს, ლიტვას და ჰოლანდიას დაუპირისპირდებიან.**

მომავალი პაექრობებისთვის უკეთ მოსამზადებლად საქართველოს ნაკრებმა (ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა კაპანაძე, გიორგი მაგრაქველიძე, ბექა ქავთარაძე, ალექსანდრე ყაზახიშვილი, ზურაბ ჩიკვაიძე, ხვიჩა ჯახაია, გიორგი ხვედელიანი, ვაჟა ფურცელაძე, ზურაბ რურუა, ალექსანდრე რუსიშვილი, მიხეილ ბაღათურია, კონსტანტინე გეგელაშვილი, ლევან ჩიქვინიძე, მთავარი მწვრთნელი იოანე პოპოვიჩი, მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე, მსაჯი ირაკლი კიკალიშვილი) ერთკვირიანი საწვრთნელი შეკრებისთვის ჩერნოგორიას მიაშურა, სადაც ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებსაც გამართავს ადგილობრივ „იადრანთან“, მოსკოვის „დინამოსა“ და კირიშის გუნდთან.

**სურათზე: საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრები.**

ქართული ჭიდაობა

# სახელოვანი ფალავნების ხსოვნისა

**ქარელის რაიონის სოფელ ფცაში ყოველწლიურად ეწყობა ცნობილი ფალავნების – დურმიშხან და ზვიად ბერუაშვილების მემორიალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.** წლეულსაც ქართული ჭიდაობის ფედერაციის ინიციატივით გაიმართა ეს შეჯიბრება. უამრავი მაყურებლის თვალწინ გამარჯვებულები და პრიზიორები ხუთ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. დაძაბული პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ნიკა ჭიკაიძე (ახმეტა, 60 კგ), ზვიად ოდოშაშვილი (კასპი, 70), ზვიად კაპანაძე (ქარელი, 80), ამბაკო ავალიანი (მესტია, 90), ბექა ბერძენიშვილი (კასპი, (90).



ჩოგბურთი

# პირველი ბარიერი ვერ გადალახა

**თბილისელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ცინცინატში ჩოგბურთელ ვაჟთა მასტერსში (საპრიზო ფონდი 4.457.065 დოლარი) ჩაება, მაგრამ საკვალიფიკაციო ეტაპის პირველსავე წრეში თურქ მარსელ ილჰანთან დამარცხდა – 6:4, 4;6, 6:7 და შეჯიბრებას გამოეთიშა.**

ალექსანდრე მეტრეველი და გიორგი ჯავახიშვილი მინსკში იმყოფებიან და იქაურ 15.000-იან ტურნირში მონაწილეობენ. ჯავახიშვილმა საკვალიფიკაციო ეტაპზე ორ მეტოქეს აჯობა – ბენჟამინ პიეტრისა (საფრანგეთი, 6:2, 6:1) და დანილო ვერემეიჩუკს (უკრაინა, 6:4, 6:1). ძირითადი ბადის პირველ წრეში მასპინძელ ივან ლიუტარევიჩთან გაარკვევს ურთიერთობას. წყვილებში ჯავახიშვილი დმიტრო ბადანოვთან (უკრაინა) ერთად შეჯიბრებაზე „ველური ბარათით“ მიწვეულ ბელარუსებს – ალექსანდრ ლიაონენკას და მაქსიმ ზუბკოუს შეხვდება.

ალექსანდრე მეტრეველი სტარტზევე არტურ დუბინსკისთან (ბელარუსი) დამარცხდა – 4:6, 6:7.

ერთი კვირის წინანდელი შედეგების გათვალისწინებით ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია:

**ერთეულები.** 250 (250). სოფიო შაფათავა (178), 388 (388). სოფიო ქვაცაბაია (84), 398 (376). ეკატერინე გორგოძე (81), 519 (520). ოქსანა კალაშნიკოვა (47), 593 (569). მარიამ ბოლქვაძე (37), 953 (953). თინათინ ყავლაშვილი (10), 1049 (1044). თამარ ჭალაგანიძე (8), 1130 (1131). მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი (5), 1232 (1192). თამარ კუტუბიძე (3).



**წყვილები.** 80 (80). კალაშნიკოვა 91026), 174 (174). გორგოძე 9373), 188 (187). შაფათავა 9336), 351 (247). ქვაცაბაია (141), 725 (718). ბოლქვაძე (35), 1027 (1026). ყავლაშვილი (12), 1153 (1143). ჭალაგანიძე 98), 1245 (1238). კუტუბიძე (3).

**მასალები მოამზადა ლექსო ცინცაძემ**

# აზარტული თამაშების ორი მხარე

**აზარტული თამაშები ის სფეროა, რომელზეც არასდროს არსებობს ერთიანი აზრი: ერთი მხრივ, ის მნიშვნელოვანი ეკონომიკური შემოსავლის, მათ შორის, ბიუჯეტის წყაროა, სხვისთვის კი — დაკანონებული დამოკიდებულება თამაშზე, რომელიც ძალიან მძიმედ აისახება ადამიანთა ფსიქიკასა და მთელ ცხოვრებაზე.**




არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო აზარტული თამაშების თემას უკვე თითქმის წელიწადია, სწავლობს. ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, ეს ბიზნესი საკმაოდ კარგადაა საქართველოში განვითარებული და ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორიც არის. აზარტული თამაშების ბიზნესის ბრუნვამ 2014 წელს 658 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ამ ბიზნესში ჩართული კომპანიების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილმა გადასახადებმა (საშემოსავლო, დღგ, მოგების) და მოსაკრებლებმა 177.5 მლნ ლარს მიაღწია, რაც ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების 2.3 %-ია. გარდა ამისა, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან მიღებული შემოსავალი ბევრი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილია. მაგალითად, 2014 წელს საქართველოს 6 დიდი ქალაქისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტისთვის სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან მიღებული თანხები საკუთარი შემოსავლების საშუალოდ 24 %-ს შეადგენდა.

ეს ციფრები ცხადყოფს, რომ მოწოდებები სათამაშო ბიზნესის აკრძალვის შესახებ, რომელიც ხშირად გაისმის ხოლმე, ნამდვილად არ არის ეკონომიკური გადასახედიდან ადვილად მისაღები.

საინტერესოა, რომ კვლევის ფარგლებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვა ამტკიცებს, რომ საზოგადოების განწყობა ამ თემისადმი გაცილებით მკაცრია, ვიდრე რეალობა, კერძოდ: კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 94 % არ არის დაკავებული აზარტული თამაშებით, დარჩენილი 6 %-დან კი უმრავლესობა უპირატესობას ონლაინ ტოტალიზატორს ანიჭებს; ფულზე აზარტულ თამაშებში ჩართული ადამიანების უმეტესობა გართობის მიზნით თამაშობს და უფრო ხშირად აგებს, ვიდრე იგებს; გამოკითხულთა მხოლოდ 2 %-მა განაცხადა, რომ აზარტული თამაშების გამო მას ან მისი ოჯახის წევრს მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემა ჰქონია და ეს პრობლემა, უმეტეს შემთხვევაში, ბოლო 1 წლის განმავლობაში წარმოიშვა; მიუხედავად იმისა, რომ ფულზე აზარტულ თამაშებში საქართველოს მოსახლეობის ჩართულობა საკმაოდ დაბალია და ამ საქმიანობის გამო მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემებიც მხოლოდ 2 %-ს ჰქონდა, მოსახლეობის ძალზე დიდი ნაწილი (92 %) უარყოფითად არის განწყობილი ამ ინდუსტრიის მიმართ და მიაჩნია, რომ ის საერთოდ უნდა აიკრძალოს (63 %) ან შეიზღუდოს (29 %). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბიზნესში, აკრძალვის მიუხედავად, არასრულწლოვანებიც არიან ჩართული.

რისკებს შორისაა ისიც, რომ ეს ბიზნესი გულისხმობს ფულის გათეთრების საფრთხეებსაც. კერძოდ, Moneyval-ის 2012 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოში აზარტული თამაშების ბაზრის ზრდის ფონზე საეჭვო გარიგებების შესახებ ინფორმაციის არარსებობა მიუთითებს, რომ აზარტული თამაშების ორგანიზატორები სათანადო ყურადღებით არ ახდენენ ფინანსური ტრანზაქციების მონიტორინგს.

თუმცა, მეორე მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, ბიზნესი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემომტანია და, გარდა ამისა, მისი მნიშვნელოვანი ირიბი ეკონომიკური ეფექტი დაკავშირებულია ტურიზმის ხელშეწყობასთან.

სწორედ აქედან გამომდინარე, საბოლოო ჯამში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ექსპერტთა აზრი ამ ბიზნესის შენარჩუნებისკენ იხრება. მათი რეკომენდაციით, — ვინაიდან აზარტული თამაშების ბიზნესი მჭიდროდაა დაკავშირებული ტურიზმის განვითარებასთან, ტურიზმი კი ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია, - საქართველომ უნდა შეინარჩუნოს ამ დარგის მიმართ ლიბერალური პოლიტიკა,ოღონდ, აუცილებელია, მეტი გააკეთოს აზარტული თამაშებიდან მომდინარე პოტენციური სოციალური რისკების შესასწავლად და აღმოსაფხვრელად. გარდა ამისა, რეკომენდაციებს შორისაა: დარგის უკეთ შესწავლა და მკაფიო სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება; ონლაინ თამაშების ვებგვერდებზე რეგისტრაციის დახვეწა; საეჭვო ფინანსური ტრანზაქციების კონტროლის გაუმჯობესება.

**ნინო ევგენიძე**
**რადიო „თავისუფლება“**

---

აბელ გეგია და ელგუჯა ბეროზაშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ჩინებული მოღვაწის და მოქალაქის

**თამაზ იმედაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ სანათესაოსა და ახლობლებს.

---

## ◎ კრიმინალი

### გარდაცვლილი საკუთარ ყანაში დამარხა!

**ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1959 წელს დაბადებული გელა ქ. გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ბრალდებით დააკავეს.**



**გამოძიებამ დაადგინა, რომ გელა ქ. თანმხლებ პირებთან ერთად დუშეთის რაიონის სოფელ ანანურში, ტყეში ხეებს ჭრიდა, რა დროსაც, გაუფრთხილებლობით იქვე მიმავალმა, 1935 წელს დაბადებულმა ვასილ მ-მ მოჭრილი ხის მორით სხეულის დაზიანება მიიღო, რის შედეგადაც ადგილზე გარდაიცვალა. ბრალდებულმა დანაშაულის დაფარვის მიზნით თანამზრახველებთან ერთად გარდაცვლილის ცხედარი იმავე დღეს მცხეთის რაიონის სოფელ წილკანში გადაიტანა და თავის საკარმიდამო ნაკვეთში დამარხა.**

**სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გელა ქ. დანაშაულის ჩადენიდან მეექვსე დღეს, მცხეთაში დააკავეს. თანამზრახველების დაკავების მიზნით მიმდინარეობს სამძებრო ღონისძიებები. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.**

### ქობულეთში მომხდარი მკვლელობა გახსნილია

**შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა,ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული რევაზ ნ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით ქობულეთში დააკავეს.**

**„გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა ქობულეთში, ღამის კლუბ „ტროპიკანკას“ მიმდებარე ტერიტორიაზე გამთენიისას, ურთიერთშელაპარაკებისას, 1986 წელს დაბადებულ გიორგი ნ-ს ცივი იარაღით გულ-მკერდის არეში რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და მიმალვა სცადა. სამართალდამცველებმა მომხდარიდან რამდენიმე წუთში, შემთხვევის ადგილთან ახლოს დამნაშავე დააკავეს. დაჭრილი გიორგი ნ. საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს“.**



---

# „თანადგომა“ ცნობილ მეცნიერს იხსენებს

## „გარდაცვალება ცოდვილთათვის არის სიკვდილი, განწმენდილთათვის უკვდავების დასაწყისია“


ღმერთმა დალოცოს
ბეჯით „თანადგომის“
გამომცემელნი და
მკითხველნი.
თანადგომა
სიკვდილის
გზა არრა
არის
ვარდისფერ
გზის გარდა...
გალაკტიონი
19 აგვისტო, 2015 წ. საზოგადოებრივი საინფორმაციო გაზეთი * გამოდის 2001 წლიდან სპეციალური გამოშვება
ლეო ჩიქავა
აუნაზღაურებელი
დანაკლისი
ქართველ ეკონომისტთა საზოგადოე-
ს, ინტელიგენციას გამოაკლდა თვალ-
ჩინო მეცნიერ-ეკონომისტი, დემოგრა-
, საზოგადო მოღვაწე, ეკონომიკურ
ცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
მიკური მეცნიერების განვითარებაში. იგი
იყო მაღალპროდუქტიული, ღრმად განს-
წავლული, თანამედროვე ტიპის მეცნიე-
რი და პედაგოგი. მის კალამს ეკუთვნის
200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ
შორის 40-მდე მონოგრაფია და სახელმ-
ქართული მეცნიერების ორგანიზებაში.
პროფესორი ლ. ჩიქავა არჩეული იყო

**გაზეთი „თანადგომა“ დიდ პატივს მიაგებს გარდაცვლილ თანამემამულეებს. სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო ემატება გასახსენებელ-მოსაგონარი ბატონ ანზორ ბაბუხადიას ძალისხმევითა და რუდუნებით გამოცემულ ამ გაზეთს.**

ამ დღეებში „თანადგომის“ ნომერი დაეთმო ცნობილი ქართველი მეცნიერის, ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენლის, ყველასათვის საყვარელი ადამიანის ბატონ ლეო ჩიქავას მოგონებას, რომლის გარდაცვალებიდან 40 დღე გავიდა.

დიდი მეცნიერის ღვაწლზე, შრომებსა და საქმიანობაზე გაზეთი კი არა ვრცელი გამოცემებიც ვერ დაიტევს, მაგრამ უახლოესი მეგობრების, კოლეგების მოგონებები მაინც ნათელ სურათს შეუქმნის მკითხველს და თუ რა დიდი დიაპაზონის მეცნიერი გამოაკლდა ქართულ საზოგადოებას. პროფესორები ნოდარ ჭითანავა, ამირან ჯიბუტი, გედევან ხელაია, ანზორ თოთაძე, გიორგი შუბლაძე, ვალერი ქირია, ოთარ ჟორდანია უდიდესი სითბოთი იგონებენ კოლეგას. ამ თბილი წერილებით მაინც შეექმნება მომავალ თაობას წარმოდგენა, თუ რარიგ შრომობდნენ, ილვწოდნენ სამშობლოსთვის მათი წინაპრები.

ისეთებს კი, როგორიც ბატონი ლეო ჩიქავა გახლდათ დავიწყება არ უწერიათ. მათთვის გარდაცვალება უკვდავების დასაწყისია.

„თანადგომის“ ამ ნომრის რედაქტორია პროფესორი ნოდარ ჭითანავა.

**ავთანდილ ბექაური**

---

# ეროვნული გმირის დაბადების დღე



**ეროვნული გმირი გიორგი ანწუხელიძე 17 აგვისტოს 31 წლის გახდებოდა. გიორგი ანწუხელიძის დაბადების დღესთან დაკავშირებით, გუშინ მუხათგვერდის სასაფლაოზე მისი ოჯახის წევრები და ახლობლები, ასევე თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები იმყოფებოდნენ.** კერძოდ, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის საფლავი თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბესიკ ლოლაძემ, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსმა, გენერალმა გიორგი სურმავამ და გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების ცენტრის წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს.

ლოლაძის თქმით, გიორგი ანწუხელიძემ ეროვნული გმირის წოდება მართლაც ღირსეულად მიიღო. წამების მიუხედავად იგი არ გატყდა და მტერს არ დანებდა.

„მან მთელ საქართველოს და მსოფლიოს აჩვენა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა. მისი ხსოვნა მუდამ იქნება ყველა ქართველის გულში“, — აღნიშნა ბესიკ ლოლაძემ.

# სააკაშვილი მალე უკრაინის პრემიერ-მინისტრი გახდება?

**სააკაშვილი მალე უკრაინის პრემიერ-მინისტრი გახდება, — ამის შესახებ უკრაინული გამოცემა „კიევ.პრესი“ ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით იტყობინება.**

„როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, საქართველოს ექსპრეზიდენტი ოდესის გუბერნატორის პოსტიდან იაცენიუკის ადგილას გადაინაცვლებს“, — წერს გამოცემა.

გავრცელებული ცნობით, სააკაშვილის ოდესაში დანიშვნის მიზანი იყო გამოეცადათ მისი უკრაინის მთავრობაში სერიოზული ადგილის დაკავების სურვილი, რასაც „კიევ.პრესის“ ინფორმაციით, სააკაშვილმა წარმატებით გაართვა თავი.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინის მოქმედი პრემიერ-მინისტრი, არსენი იაცენიუკი ეროვნული ბანკის მმართველის პოსტს დაიკავებს.

# ევროპაში უძველესი


ქუთაისი


მცხეთა

**ბრიტანეთის გამოცემა „ტელეგრაფმა“ ევროპის უძველესი 16 ქალაქის ნუსხა გამოაქვეყნა, სადაც ამჟამად მუდმივად ხალხი ცხოვრობს.**

სიის მე-8 ნომრად დასახელებულია **ქუთაისი**. ბერძნულ მითებში მოხსენიებული ეს უძველესი ქალაქი, ისტორიულად მინოსის ცივილიზაციის ხანას (ჩ.წ.ა. XVII-XV სს.) მიეკუთვნება. ოქროს საწმისის შესახებ ძველბერძნული მითის თანახმად სწორედ კოლხეთის სამეფოს დედაქალაქ ქუთაისში ჩავიდნენ მეფე აიეტთან ოქროს საწმისის წამოსაღებად.

კიდევ ერთი ძირძველი ქალაქი **მცხეთა** სიაში მე-14 ადგილზე აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, ეს უძველესი ქალაქი რვა საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ცენტრი იყო. თავად ქალაქიც და მისი შემოგარენი დღესდღეობით მდიდარია არქიტექტურული ძეგლებითა და არქეოლოგიური მასალით.

ბრიტანულ გამოცემაში გამოქვეყნებული სიის სათავეშია საბერძნეთის ქალაქი **არგოსი,** რომელსაც შემდეგ მოსდევენ **ათენი (საბერძნეთი), პლოვდივი (ბულგარეთი), ჰანია (კრეტა, საბერძნეთი), პადრა (საბერძნეთი), ტრიკალა (საბერძნეთი) და ფივა. (საბერძნეთი).** ჩამოთვლილთა გარდა, ევროპის უძველეს ქალაქთა ნუსხაში ასევე შევიდნენ **ლარნაკა (კვიპროსი), ჰალკიდა (საბერძნეთი), ლისაბონი (პორტუგალია), ლესბოსი (საბერძნეთი), კადისი (ესპანეთი), ზადარი (ქორვადია) და ერევანი (სომხეთი).**


ლისაბონი


ათენი

ამრიგად, ძველი კონტინენტის 16 უძველესი დღესდღეობითაც დასახლებული ქალაქიდან 8 ბერძნულია და ორი ქართული, დანარჩენები კი, მათ შორის ბულგარეთი, კვიპროსი, პორტუგალია, ესპანეთი, ხორვატია და სომხეთი- თითო-თითო.

**ნინო ალექსანდრია**

## მარად ჩვენთან



დღეს ჩვენი ილიჩის დაბადების დღეა. ჩვენი ილიჩის, ვალიკო სიმონიშვილის, ჩვენი პროფესიონალი, ბერმუხა ჟურნალისტის, მეგობრის, მასწავლებლის, იუმორით სავსე და უერთგულესი ადამიანის... ნაადრევად წავიდა ჩვენი ილიჩი ამქვეყნიდან. წლებს არავინ არავის უთვლის არსთა განმრიგის გარდა, მაგრამ კაცი, რომლის სამეგობროშიც ყველა ასაკის, პროფესიის, ყაიდის ადამიანი იყო, მისი ამქვეყნიდან წასვლა მართლაც ნაადრევია და გულდასაწყვეტია.

ჩვენი ვალიკო სიმონიშვილი დღეს 84 წლის გახდებოდა. ეს კი მისი პირველი დაბადების დღეა, რომელსაც მის გარეშე აღვნიშნავთ მეგობრები და კოლეგები, მისი ლამაზი ოჯახის წევრები. აღვნიშნავთ ცრემლით, მოგონებებით და სიხარულითაც, რადგან ასეთი კაცის მეგობრობა გვარგუნა ღმერთმა.

არასდროს დაგვავიწყდები.

მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა, ილიჩ!

**მეგობრები**

## ყურადღება!

**იყიდება** დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

## იყიდება

დედოფლისწყაროში ორსართულიანი წითელი აგურით ნაშენი, თუნუქით დახურული სახლი ეზოთი. 12 ოთახი, სველი წერტილებით, სათავსოებით, ბუხრებით, თანამედროვე რემონტით. ხეხილით გაშენებული ეზოს საერთო ფართი 9 ათასი კვ. მ. შესანიშნავი ხედით. ბუნებრივი აირი და წყალი მუდმივად. ოთახების განლაგება საშუალებას იძლევა სახლი გადაკეთდეს სასტუმროდ. ფასი შეთანხმებით.

ტელ. 223296. 599 357 697. 514 333 324.

**გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 21 აგვისტოს**

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**თავისუფალი თემა სკოლაში — „როგორი მამა მყავს“. პატარა მიხო წერს:**

**„მამაჩემი მსოფლიოში ყველაზე ძლიერია, შეუძლია ნებისმიერ მტაცებელს შეებრძოლოს, გადაცუროს ყველაზე ადიდებული მდინარე, ერთდროულად გაუსწორდეს რამდენიმე კბილებამდე შეიარაღებულ თავდამსხმელს. მიუხედავად ამისა იგი ყოველთვის ჭურჭელს რეცხავს, სახლს გვის, საჭმელს აკეთებს და სანამ დედა დაბრუნდება, შინ ნაგავიც გადაყრილი აქვს“.**

* * *

**„ახალი რუსი“ უკანასკნელი მოდელის ჯიპით გზაჯვარედინზე გაჩერდა. ხედავს „ბომჟი“ ჩაცუცქულა ხის ძირას. გაატკაცუნებს თითებს, ცარიელი ჭიქა შეივსება, დალევს და კმაყოფილი პირს გააწკლაპუნებს. ასე განმეორებით რამდენიმეჯერ. გაოცებული მილიონერი, „ბომჟს“ ეკითხება:**

**— კი, მაგრამ, როგორ ახერხებ?**



**— ბოთლში ჯინი მყავს გამომწყვდეული და ყველა სურვილს მისრულებს.**

**— შეგიძლია დამითმო? რასაც ისურვებ მოგცემ...**

**— სიამოვნებით.**

**„ახალი რუსი“ ღატაკს უტოვებს მანქანას, სახლკარს, მთელ ქონებას და გახარებული გარბის „ჯინიანი“ ბოთლით. ხსნის ბოთლს და მართლაც ჯინი ამოფრინდება.**

**— რით გემსახურო?**

**— კარგი ბინა, უთვალავი ფული, მდიდრული აგარაკები, „გაზპრომის“, „სიბნეფტის“ და თითქმის ყველა ფირმის აქციათა სრული პაკეტი...**

**— სიამოვნებით შეგისრულებდი, მაგრამ მე ვიწრო სპეციალობის ჯინი ვარ, შემიძლია მხოლოდ 50, 100 და 200 გრამი არყის ჩამოსხმა.**

* * *

**ორი პირობა იმისა თუ რატომ არ ვენდობით ადამიანებს:**

**პირველი — მათ კარგად არ ვიცნობთ.**

**მეორე — მათ ძალიან კარგად ვიცნობთ.**

* * *

**სექსის შემდეგ გოგო ბიჭს:**

**— ვინ გგონია შენი თავი?! შენ უკანასკნელი ხარ, ვისთანაც მე ღამე გავათიე!**

**— ძალიანაც კარგი, ყველას გავაფრთხილებ, რომ რიგში არ ჩადგნენ.**

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
293-37-87;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ალეკო ასლანიშვილი 599 56-81-86;
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე